საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 11 მაისი, 2007 წელი.

№ 89 (5690)

იმისთანა წმინდა საქმეში, ბოგბერიც ბეჭდვები სიფცვა, ფცვილებით და ჭიებით ბუნების გაფანა ყველა ეკანონებაზე ესაბაგოესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.

გვეყო კერპები საქართველოში!



ჯემალ პასრაძის ფოტო.

2

საქართველოს ეროვნული არქივი

◎ ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავ!

რამდენიოა მიიტანს გატანჯულ სულს გამარჯვების 63-ე წლისთავამდე?!

4

სად არის ჩვენი ხელისუფლების „ქარვასლა?“

38-ლარიანი პენსიონერებით ვაპირებთ ნატოში შესვლას?!

3

ხომ ახერხებენ ათასების გაფლანგვას თავიანთ უცხოურ ვოიაჟებში!

მთავრობა საკუთარი გადაწყვეტილებითა და სურვილით, როგორც ჩანს, ტუალეტშიც ვედარ შესულა

6

წითელი იმპერია, როგორც იქნა, დავამხეთ და ახლა წითელი მგლები გვიპირებენ შეჭმას!

7

რა სიზმარს ხედავს ხშირ-ხშირად იმედა კახიანი

14

რამდენიმე კვირის მანძილზე თბილისში მიმდინარე საპროტესტო აქციები, სადაც მთავარი მოთხოვნა სოციალური პირობების გაუმჯობესება იყო, პოლიტიკურ მოთხოვნებში გადაიზარდა

◎ გადადგეს პრეზიდენტი!

გვეყო კერპები საქართველოში!

სოციალური მოთხოვნები პოლიტიკურში გადაიზარდა

ლეიბორისტების გამართულ აქციას, საპარლამენტოს გარდა, ყველა ოპოზიციური პარტია და არასამთავრობო ორგანიზაცია შეუერთდა. იქვე მივიდნენ ის დედებიც, ვინც მიიჩნევს, რომ მათი შვილების მკვლელები გაუსამართლებლები არიან.

რამდენიმე კვირის მანძილზე თბილისში მიმდინარე საპროტესტო აქციები, სადაც მთავარი მოთხოვნა სოციალური პირობების გაუმჯობესება იყო, პოლიტიკურ მოთხოვნებში გადაიზარდა, რომელთაგანაც უმთავრესი საქართველოს პრეზიდენტის გადადგომა იყო.

თბილისელებს მოგვიანებით შეუერთდნენ რუსთაველები, გორელები, დუშელები. სულ — 6 ათასამდე კაცმა მოიყარა თავი. პარალელურად ლეიბორისტებმა სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნის ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს. ეს კამპანია მალე მთელ საქართველოს მოიცავს.

მიტინგი გახსნა შალვა ნათელაშვილმა. სიტყვებით გამოვიდნენ სხვადასხვა პარტიის ლიდერებიც.

შალვა ნათელაშვილი, ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარე: „ჩვენი მთავარი მოთხოვნაა, გადადგეს საქართველოს სამარცხვინო პრეზიდენტი. ჯერ მომიტინგეების შეკრება არ იყო დაწყებული, რომ კურდღლისგულა პრეზიდენტი პოლონეთში გაიქცა. ვისურვებდი, იქიდან აღარ დაბრუნდეს და პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვოს! პირობას გაძლევთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს მისი თვითმფრინავი ველარ დაჯდება თბილისის და ბათუმის აეროპორტებში...“

კახა ძაგანია, პარტიის იდეოლოგიური მდივანი: „მიტინგი ცოტა ხნის წინანდელი ეროვნული გაფიცვის გაგრძელებაა. სოციალურ მოთხოვნებთან ერთად, ჩვენი ძირითადი მოთხოვნა პრეზიდენტის გადადგომა, საპრეზიდენტო მმართველობისა და ინსტიტუტის გაუქმებაა! ქვეყნის მმართველი პარლამენტი უნდა იყოს და არა ერთი კაცი, ან ერთი პოლიტიკური ძალა! გვეყო საქართველოში კერპები!“

კობა დავითაშვილი, „ხალხის პარტიის“ თავმჯდომარე: „მინდა შეგახსენოთ ჩვენი ნათქვამი, ეს ხელისუფლება სახლებში შემოგივარდებათო. ეს ბევრს არ სჯეროდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე მოხდა. კანონი მოსაკრებელზე, რასაც მალე პარლამენტი მიიღებს, განა ამას არ ნიშნავს? ახლა გაორმაგებული გადასახადები! ამიტომ მინდა მივმართო ყველა იმ მოქალაქეს, ვინც ახლა სახლებში ზის და რაღაცას ელოდება, ვიდრე ჯერ კიდევ გვიან არ არის, დაუპირისპირდეს ხელისუფლებას“.

ზურაბ რთველიაშვილი, პოეტი „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრი: არასაპარლამენტო ოპოზიცია, ფაქტობრივად, გაერთიანდა. პარლამენტშიც არიან ჩვენი მომხრე დეპუტატები, სოლიდარობას ვუცხადებთ შეკრებილთ, ვინც ცდილობს, ხელისუფლება გონს მოაგოს“.

შოთა გოგლიძე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლების ინვალიდი: „თუ ხელისუფლებას მართლა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა სურს, მაშინ 1923 წლის რუკით იხელმძღვანელოს და ყველა დაკარგული მიწა შემოიერთოს, მაგრამ ამის სურვილი მათ არ ეტყობათ, დღემდე გვატყუებენ, ამიტომ, თუ პრეზიდენტი თავად არ გადადგება, გადავაგდებთ.“

ნორა სამხარაული, უმუშევარი: „მცირე მეწარმე ვიყავი, მაღაზია მქონდა, მაგრამ ხელისუფლებამ მაიძულა, საქმე დამეტოვებინა, რადგანაც ოპოზიციურ მოძრაობაში ჩავერთე და ეროვნული გაფიცვის დროს მაღაზია დავკეტე. ყველანაირი შემოსავლის წყარო წამერთვა. ჩემი უფლებებისთვის ბოლომდე ვიბრძოლებ.“

სვეტა ლეკიშვილი, პენსიონერი: ხელისუფლებას მარტო ატრაქციონებისა და შადრევნების მშენებლობა აინტერესებს. თუ ამდენი წყალი გვაქვს, მაშინ რატომღა გვიძვირებენ?! ან ატრაქციონები რისთვის შენდება, თუ ჩვენნაირი გაჭირვებულები შვილებს იქ ვერ შეიყვანენ? ასეთები კი, ალბათ, მთელი საქართველოს ოთხმოცდაათი პროცენტი ვართ. ჩვენს პრეზიდენტს ხალხი არ აინტერესებს. მხოლოდ საკუთარ ნათესავებს და კლანს წყალობს“.

ვალიკო ნავროზაშვილი, ინვალიდი, დუშეთის მცხოვრები: „პრეზიდენტმა არ გაგვიმართლა. გლეხს მიწის მოვლაზე ხელი აალებინეს, ჩვენთვის არც ბაზარია, რადგან პოლიცია ჩვენი მოსავლის გაყიდვის უფლებას არ გვაძლევს. თავი რით ვირჩინოთ, 38-ლარიანი პენსიით?“.

ლელა მანაველიშვილი

P. S. თბილისში გამართულ აქციას კახეთის რეგიონის 300-მდე მოვაჭრემ დაუჭირა მხარი. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშებმა კი სოციალური პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით გამართეს მიტინგი.

◎ კანონმდებლები

ტყემალაძე ბენდუქიძემ აღაშფოთა

ინტერფრაქციული ჯგუფი იშლება...

ინტერფრაქციულ ჯგუფს მრეწველების ლიდერი ზურაბ ტყემალაძეც ტოვებს. გუშინ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მან განაცხადა, რომ ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც კახა ბენდუქიძისგან ტელევიზიით ინტერფრაქციული ჯგუფის შეურაცხმყოფელი განცხადებები მოისმინა. მრეწველთა ლიდერი აცხადებს, რომ სახელმწიფო მინისტრმა მასხრად აიგდო ინტერფრაქციული ჯგუფი, როცა ის სულელურ წარმონაქმნად მოიხსენია.

„მან არც ორგანული კანონი იცის, არც — კონსტიტუცია, არც ის იცის, რომ ეს ჯგუფი პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით არის შექმნილი და ბიუროს დამტკიცებულია. ამით მან არა მარტო ოპოზიციას უძახა სულელური საქმის მკეთებელი, არამედ მთელ უმრავლესობას, ბიუროსა და პარლამენტის თავმჯდომარეს მიაყენა შეურაცხყოფა“, — აღშფოთებული ამბობდა ტყემალაძე და პრეზიდენტს მიმართა, ბენდუქიძის მიმართ საკადრო გადაწყვეტილება მიიღოს. ჯგუფში, რომელსაც კახა ბენდუქიძე ხან სულელურს დაუძახებს და ხან უაზროს, ნამდვილად არ მაქვს სურვილი ვიმუშაო ბენდუქიძის გადაყენებამდე, — დაასრულა მან.

ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, ის, რომ რომელიმე მინისტრმა თუნდაც ძალზე არაკორექტულად მოიხსენია ინტერფრაქციული ჯგუფი, სულაც არ ნიშნავს, რომ ინტერფრაქციულმა ჯგუფმა მუშაობა უნდა შეწყვიტოსო.

„ვინმემ რომ არაკორექტულად თქვას რამე პარლამენტზე, თვითლიკვიდაცია უნდა გამოვაცხადოთ?“ — ჰკითხა მან განაწყენებულ დეპუტატს. თუმცა, ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ თუ კახა ბენდუქიძემ „თავს პარლამენტის თავმჯდომარის შექმნილი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საპარლამენტო ჯგუფის, რომელშიც ყველა ფრაქციის თავმჯდომარე მონაწილეობდა, ასე უპატივცემულოდ მოხსენების უფლება მისცა, მას როგორც მინიმუმ, ბოდიშის მოხდა მოუწევს“.

ზურაბ ტყემალაძე ამას საკმარისად არ მიიჩნევს და ელოდება პარლამენტის თავმჯდომარისგან კიდევ ერთ კომენტარს, მას შემდეგ, რაც იგი ბენდუქიძის გამოსვლას თავად მოისმენს.

ინტერფრაქციული ჯგუფიდან კი ამასობაში სამივე ოპოზიციური ფრაქციის ხელმძღვანელი გავიდა. პირველი დავით გამყრელიძე იყო. ოპოზიციის წევრები იმ დასკვნამდე მიდიან, რომ ხელისუფლებამ ისინი საკუთარი ინტერესებისთვის გამოიყენა. თანაც ისე, რომ არც ერთი მათი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. ისინი ამბობენ, რომ ისტორიულ უბნებში მოსაკრებელი მაინც დაწესდა, რომ ქვეყანაში კერძო საკუთრების ხელყოფა კვლავ გრძელდება და არ იგეგმება ე. წ. ქონებრივი ამნისტიის გამოცხადება.

„თუ ხელისუფლებას ინტერფრაქციული ჯგუფი, მხოლოდ ნატოში ინტეგრაციისა და დროებითი ადმინისტრაციული ერთეულის თაობაზე, ერთიანი პოზიციის აღსანუსხავად უნდოდა, ინტერფრაქციული ჯგუფის გარეშეც დავთანხმდებოდით, რადგან ასე გვჯერა“, — განაცხადა გამყრელიძემ. მისი თქმით, ინტერფრაქციული ჯგუფის მუშაობამ შედეგი ვერ გამოიღო. უმრავლესობა ოპოზიციის აზრს არ ითვალისწინებს და მათ იქ ყოფნას აზრი არა აქვს.

შეგახსენებთ, ოპოზიციის უკმაყოფილების მიზეზი ქონების ლეგალიზაციის შესახებ მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტი გახდა.

სარეაბილიტაციო მოსაკრებლის დაწესების შესახებ კი გამყრელიძე აცხადებს, რომ სასურველია ოპოზიციისა და პრეზიდენტის შეხვედრა უახლოეს დღეებში შედგეს და პრეზიდენტის დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ დეპუტატებისთვისაც და საზოგადოებისთვისაც ცხადი შეიქნას.

მზია გელენავა

● — ბოლომდე ვიბრძოლებთ და, თუ საჭირო გახდება, ათასობით პენსიონერს შევკრებთ პარლამენტის შენობასთან ზემოთხსენებული კანონპროექტის განხილვის დროს, — განაცხადეს კონსერვატორებმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

◎ მოთმინების ფიალა ივსება

38-ლარიანი პენსიონერებით ვაპირებთ ნატოში შესვლას?!

ხომ ახერხებენ ათასების გაფლანგვას თავიანთ უცხოურ ვოიაჟებში!

პენსიონერები ჩვენი საზოგადოების ყველაზე დაუცველი ფენაა. უკვე არავის აკვირვებს ხელგაწვდილი, უმწეო მოხუცების დანახვა, რომლებიც საარსებო წყაროს მათხოვრობით შოულობენ... 10 მაისს, გ. შავგულიძის სახელობის დამოუკიდებელი თეატრის დარბაზში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული პენსიონერები შეიკრიბნენ. თავყრილობის ორგანიზატორი საქართველოს კონსერვატიული პარტია იყო. მათ დაუფარავად იმსჯელეს მძიმე სოციალურ მდგომარეობაზე, რომელშიც ხანდაზმული ადამიანები აღმოჩნდნენ.

ბეჟან გუნავა: ალბათ ყველამ იცის, რომ კონსერვატორები მოითხოვდნენ პენსიების დანიშვნას სტაჟისა და დამსახურების მიხედვით. რადგან პარლამენტმა არ მიიღო ეს კანონი, პენსიონერები გამოვიდნენ ინიციატივით, რომ დღევანდელი თავყრილობა გამართულიყო. ავირჩევთ საკოორდინაციო საბჭოს და ვეცდებით ვაიძულოთ ხელისუფლება მიიღოს ჩვენს მიერ შეთავაზებული კანონი, რის ძალითაც, მინიმალური პენსია 45 ლარი უნდა იყოს. თითო სამუშაო წელზე კი თითო ლარი დაემატოს.

კახა კუკავა: შეიძლება ითქვას, რომ 2004 წელს ხელისუფლებამ პენსია საერთოდ გააუქმა, ის, რასაც ახლა პენსიონერებს უხდიან, შემწეობაა და არა პენსია. ისინი ხომ წლების მანძილზე შრომობდნენ და საკუთარი ხელფასებიდან იხდიდნენ კარგა დიდი ოდენობის სოციალურ გადასახადს, რომელიც სიბერეში უკან უნდა მიეღოთ? ვისაც მეტი აქვს მუშაობის სტაჟი, მას უფრო მეტი თანხა აქვს გადახდილი სახელმწიფოსთვის და მეტიც უნდა მიიღოს. ასე ხდება ყველა ნორმალურ ქვეყანაში. ასე უნდა ხდებოდეს ჩვენთანაც.

ზვიად ძიძიგური: უნდა დავიწყოთ საქმე, რომელსაც აუცილებლად მივიყვანთ გამარჯვებამდე, საქართველოში 600 ათასამდე პენსიონერია, საქმე ამ ადამიანთა ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს ეხება. ის 38 ლარი, რასაც ამ ადამიანებს უხდიან, ამჟამინდელი გაძვირებების ფონზე არაფერს ნიშნავს. 38-ლარიანი პენსიონერებით ვაპირებთ ნატოსა და ევროკავშირში შესვლას?! ხელისუფლების არგუმენტი — სახელმწიფოში ფული არ არისო, ყოვლად უსაფუძვლო და უსუსურია! მაშინ როგორ ახერხებენ ათასების გაფლანგვას თავიანთ უცხოურ ვოიაჟებში? მათ მიერ დღესასწაულებზე გასროლილი ფეიერვერკები სულ მცირე, 50 ათასი დოლარი ღირს...

ყრილობაზე სიტყვებით გამოვიდნენ პენსიონერებიც. მათ კიდევ ერთხელ გამოკვეთეს ამ ფენის წარმომადგენელთა მძიმე სოციალური მდგომარეობა.

გადაწყდა, რომ ორი კვირის მანძილზე შეიქმნება საკოორდინაციო საბჭო, რომელიც უხელმძღვანელებს პენსიონერთა საპროტესტო მოძრაობას რეგიონებსა და თბილისში.

— ბოლომდე ვიბრძოლებთ და, თუ საჭირო გახდება, ათასობით პენსიონერს შევკრებთ პარლამენტის შენობასთან ზემოხსენებული კანონპროექტის განხილვის დროს, — განაცხადეს კონსერვატორებმა.

ხათუნა ჩიგოგიძე

◎ გზა ნატოსკენ

ეუთოსა და ადამიანთა უფლებების ოფისის შეცდომა

დამოუკიდებელი კვლევის შედეგი

გუშინ „ახალი თაობა — ახალი ინიციატივის“ თავმჯდომარემ კოკი იონათამიშვილმა პრეს-კონფერენცია გამართა თემაზე, მოახლოებული საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები. მისი ორგანიზაცია მიესალმება ევროპის საბჭოსა და ეუთოს ადგილობრივი მისიების ინიცირებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის საქმიანობას, რომლის მიზანიც სათანადო რეკომენდაციების გათვალისწინებით არჩევნებთან დაკავშირებული საკანონმდებლო წინადადების შემუშავებაა.

„მაჟორიტარი დეპუტატების არჩევის სისტემა მაქსიმალურად ობიექტური და საზოგადოებისთვის გასაგები უნდა იყოს. პარტიებისათვის საარჩევნო ბარიერი 5 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს, როგორც ეს ევროპაშია“, — განაცხადა იონათამიშვილმა.

2008 წლის საპარლამენტო არჩევნებზე 50 მაჟორიტარი დეპუტატი აირჩევა. არჩევის არაობიექტური მოდელის გამო თბილისის 890 000 და აჭარის 268.000 ამომრჩეველი 5-5 დეპუტატს ირჩევს. მანდატების განაწილების პრინციპი კი ამომრჩეველთა რაოდენობას უნდა დაეყრდნოს.

„საარჩევნო სიების შედგენის ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ამიტომ მიგვაჩნია, რომ მარკირება აღარ არის საჭირო... როცა ევროატლანტიკური სივრცის წევრების ამბიცია გვაქვს, მარკირების საარჩევნო პროცესში დატოვებას არაადეკვატურ მოვლენად მივიჩნევთ“, — თქვა მან.

საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას. 2006 წლის 5 ოქტომბრის ადგილობრივ არჩევნებს „ახალი თაობა — ახალი ინიციატივა“ დადებითად აფასებს. ამომრჩეველთა სიების შედგენის ხარისხის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის ამ არჩევნების შემფასებელ დოკუმენტში გამოყენებულია ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების“ მონაცემები, რის მიხედვითაც ამომრჩეველთა სიებში აღნუსხული დარღვევები 8 პროცენტს აღემატება. იონათამიშვილის თქმით კი, ევრაზიის ფონდის დამფინანსებელმა მათმა ორგანიზაციამ დამოუკიდებლად გამოიკვლია ეს საკითხი და დაადგინა, რომ დარღვევები გაცილებით ნაკლები იყო.

„ახალი თაობა — ახალი ინიციატივა“ მიმართავს „სამართლიან არჩევნებს“ და ეუთოს საქართველოს მისიის ოფიცერს აღიარონ შეცდომა, რადგან ადგილობრივი და საერთაშორისო საზოგადოება შეცდომაშია შეყვანილი. ეს კი არჩევნების ჩატარების ობიექტურობის ეჭვს იწვევს, რაც ლახავს საქართველოს სახელმწიფოს დემოკრატიულობის იმიჯს და შეიძლება ერთგვარ დაბრკოლებად იქცეს ქვეყნის ნატოში ინტეგრაციის გზაზე.

მაია კილასონია, მირანდა ფორჩხიძე

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ალიანსში საქართველოს ინტეგრაციის პროცესს განიხილავენ

საქართველოს დელეგაცია, რომელსაც უხელმძღვანელებს ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი, 14-16 მაისს ეწვევა ბრიუსელს.

როგორც ბეჟუაშვილმა თქვა, 16 მაისს ნატოს ბრიუსელის შტაბ-ბინაში გაიმართება შეხვედრა ფორმატით 26 პლუს 1, რომელზეც განიხილავენ ალიანსში საქართველოს ინტეგრაციის პროცესს.

ვიზიტის ფარგლებში საქართველოს საგარეო-პოლიტიკური უწყების მეთაური გამართავს შეხვედრებს ხორვატიის, საბერძნეთის, ესპანეთის, რუმინეთისა და სხვა ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებთან, აგრეთვე ევროკავშირსა და ევროპარლამენტში. კერძოდ, ბეჟუაშვილს მიიღებს ევროპის კავშირის კომისარი ბენიტა ფერერო-ვალდნერი, აგრეთვე დაგეგმილია მისი ორი გამოსვლა ევროპარლამენტში. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ევროპარლამენტის დეპუტატებს გააცნობს ევროკავშირთან ურთიერთობაში საქართველოს მიერ დასახულ მიზნებსა და ამოცანებს და იმ მიმდინარე პროცესებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ნიადაგის მომზადება საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობის თვისებრივად ახალ ეტაპზე გადასასვლელად.

რაც შეეხება ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობისა და სავიზო რეჟიმის გამარტივების საკითხს, როგორც მინისტრმა თქვა, ივნისში ევროკავშირის შეკვეთით ერთ-ერთი კერძო კომპანია შეისწავლის, თუ რა წანამძღვრები არსებობს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების დადებისათვის. ანალოგიური პროცესები განხორციელდება სავიზო რეჟიმთან დაკავშირებითაც, — დასძინა მან.

„გადაწყვეტილება, რომელიც ევროკავშირმა მიიღო უკრაინასთან, მოლდავეთთან და რუსეთთან დაკავშირებით, რეალიზებული უნდა იყოს საქართველოსთან ურთიერთობაშიც“, — განაცხადა გელა ბეჟუაშვილმა.

АГЕНТСТВО МЕЖДУНАРОДНОЙ ИНФОРМАЦИИ НОВОСТИ

საქართველოში არ დგას და არც დადგება უცნობი ჯარისკაცის ძეგლის ადგილის შეცვლის საკითხი

ასეთი განცხადება გააკეთა 9 მაისს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ თბილისის ვაკის პარკში უცნობი ჯარისკაცის მონუმენტთან. აღსანიშნავია, რომ გამარჯვების დღის პატივსაცემად ბურჯანაძემ და მთელმა რიგმა დეპუტატებმა ყვავილებით და გვირგვინებით შეამკეს ეს მონუმენტი.

ნინო ბურჯანაძემ ასევე განაცხადა, რომ სადღეისოდ საქართველოში, ესტონეთისგან განსხვავებით, დღის წესრიგში არ დგას ეს თემა, „საქართველოში ამ ძეგლს განსაკუთრებული სტატუსი ენიჭება და ეს უკავშირდება იმას, რომ იმ ისტორიულ პერიოდში ესტონეთსა და საქართველოში სხვადასხვა რეალობები არსებობდა“.

ამავე დროს, პარლამენტის სპიკერმა დამსწრეთ აღუთქვა, რომ მონუმენტს არაფერი დაემუქრება, თუ ოდესმე არ წარმოიქმნა რაიმე ტექნიკური ხასიათის პრობლემები.

აღსანიშნავია, რომ 3 მაისს ესტონეთის პარლამენტის სპიკერთან ენე ერგმასთან ტელეფონით საუბრისას ნინო ბურჯანაძემ მთლიანად დაუჭირა მხარი ესტონეთის ხელისუფლების მოქმედებას „ბრინჯაოს ჯარისკაცის“ ძეგლის დემონტაჟთან დაკავშირებით. ერგმამ მადლობა გადაუხადა ბურჯანაძეს და აღნიშნა, რომ „საქართველოს მხრიდან მხარდაჭერა, ძალზე ბევრს ნიშნავს ესტონეთისთვის“.

მოგვიანებით საქართველოს პარლამენტმა 151 ხმით მიიღო ესტონეთის მხარდასაჭერი განცხადება მონუმენტისათვის ადგილის შეცვლის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. „მონუმენტის ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა ესტონეთის ხელისუფლების სუვერენული უფლებაა, რომელიც განხორციელდა კანონისა და ეთნიკური ნორმების სრული დაცვით და დაღუპული მეომრების ნეშტის პატივისცემის პირობებში“, — ხაზგასმულია განცხადებაში.

REGNUM
ИНФОРМАЦИОННОЕ АГЕНТСТВО

ჭირ-ბორბი

ამჟამინდელი ქართული ტელევიზიის მიმართ უამრავი რამ პრეტენზია აქვს დაგროვილი ჩვენს მაყურებელს და იქნებ სწორედ ამ ფრანგი ავტორის ეს წიგნი გახდეს საბაბი იმ დიდი მსჯელობისთვის, რომელიც ბოლოს და ბოლოს ჩვენშიც უნდა დაიწყოს



◎ საფიძვალი

რეიტინგის წინააღმდეგ დემოკრატიის გულისთვის,

ანუ რატომ ხდება ტელევიზია სულ უფრო ერთგვაროვანი. ბანალური და სულ უფრო ნაკლებად დემოკრატიული?

ჩვენში საერთოდ კრიტიკა და მეტადრე სატელევიზიო კრიტიკა რომ ვერ დგას სათანადო დონეზე, ცნობილი ამბავია. წიგნის, სპექტაკლისა თუ ფილმის შეფასებას იქნებ აქა-იქ კიდევ წავაწყდეთ, მაგრამ ტელევიზიაზე გამოთქმული პროფესიული აზრი, რომელიც თვითონ ტელევიზიასაც წაადგებოდა და საზოგადოებასაც, ძალიან იშვიათი ხილია. ანუ, უფრო სწორად, ფრიად უცხო ხილია. ამიტომ იყო, რომ უცებ მიიქცია ჩვენი ყურადღება ცნობილი ფრანგი სოციოლოგის პიერ ბურდიეს წიგნმა – „ტელევიზიისა და ჟურნალისტიკის შესახებ“, რომელშიც თავმოყრილია დე ფრანს კოლეჯში წაკითხული ლექციები და ამომწურავ პასუხს გვაძლევს კითხვაზე: რატომ ხდება ტელევიზია (და, ცხადია, არა მარტო საფრანგეთში) სულ უფრო ერთგვაროვანი, ბანალური და სულ უფრო ნაკლებად დემოკრატიული?

ეს კითხვა ყველას ეხება: როგორც ქართველ ტელეკრიტიკოსებს, რომლებსაც დროდრო ემსახურებიან ამა თუ იმ არხს (ვითომ ემსახურებიან) ისე, რა თქმა უნდა, ელექტრონული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს (უწინარესად ხელმძღვანელებს).

წიგნის უმთავრესი არსი და მიზანია, რომ დემოკრატიისთვის, დემოკრატიის გულისთვის ვებრძოლოთ რეიტინგს, ანუ ტელეგადამცემთა ზერელე პოპულარობის ინდექსს – მაჩვენებელს, რის მოწმენიც, სამწუხაროდ, ძალიან იშვიათად ვართ.

გავეცნოთ ხსენებული წიგნის ყველაზე უფრო „ხმაგამყივარ“ ციტატებს:

ტელევიზიით სერიოზული რამის თქმა შეუძლებელია, განსაკუთრებით მაშინ, თუ საძმე თვით ტელევიზიას ეხება...

სატელევიზიო ეთერის ხელმისაწვდომობა უკავშირდება ძლიერ ცენზურას, დამოუკიდებლობის დაკარგვას, რომლის მიზეზიც ის არის, რომ განსახილველ საკითხთა სიუჟეტს განსაზღვრავენ სხვები და, რაც მთავარია, შეზღუდული დრო საუბარს წარმართავს ისეთი კალაპოტით, რომ უკვე შეუძლებელი ხდება რაიმეს თქმა...

ლიბერალური კრედოს თანახმად ითვლება, რომ მონოპოლია ყველაფერს ერთფეროვანს ხდის, კონკურენცია კი მრავალფეროვნების წყაროა. ბუნებრივია, არაფერი მაძვს საწინააღმდეგო კონკურენციისა, უბრალოდ, უნდა შევნიშნო, რომ როცა ეს ხდება ერთსა და იმავე პირობებში, ერთი და იმავე რეიტინგის ფარგლებში, ერთსა და იმავე რეკლამის შემკვეთებთან მომუშავე ჟურნალისტებსა ან გამოცემებს შორის, კონკურენცია ხდება ერთფეროვნების ფაქტორი. თავად შეადარეთ: ძირითადი ტელე-და რადიო არხების ახალი ამბების გამოცემებში ძირითადად იცვლება მხოლოდ მოწოდებული ინფორმაციის რიგითობა...

ის ადამიანები, რომლებიც ისე თანხმდებიან გადაცემაში მონაწილეობაზე, რომ არ ფიქრობენ, შეძლებენ თუ არა იმის თქმას, რაც სურთ, თავიანთი ქცევით აღიარებენ, რომ სინამდვილეში სტუდიაში მიდიან არა რაიმეს სათქმელად, არამედ საკუთარი თავის საჩვენებლად და იმ მიზნით, რომ სხვებმა შენიშნონ. ბერკლი ამბობდა: „ყოფნა იმას ნიშნავს, რომ სხვებმა აღგიქვან“. ზოგიერთი ჩვენი ფილოსოფოსისთვის კი (და მწერილსთვის) „ყოფნა“ ნიშნავს, რომ გიჩვენონ ტელევიზიით, ანუ საბოლოო ანგარიშით შეგნიშნონ ჟურნალისტებმა, ან, როგორც ამბობენ, ჟურნალისტთა კეთილგანწყობა დაიმსახურო (რაც შეუძლებელია, თუ არ მიმართავთ კომპრომისებსა და თვითკომპრომეტაციას)...

სადღეისოდ ტელევიზიის ეკრანი გახდა თავისებური ნარცისის სარკე, ნარცისული ექსგიბიციონიზმის ადგილი...

ტელევიზიაში მუდმივად ერთი და იგივე მიწოვეულ პირთა სამყარო არის დახშული წრე, რომელშიც ყველა ერთმანეთს იცნობს, მოქმედებენ მუდმივი ურთიერთმხარდაჭერის ლოგიკით... ეს ადამიანები თითქოს-და ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, მაგრამ ძალიან ხშირად ეს ძალზე პირობითია...

ტელევიზია უმთავრესად ეპირფერება მდარე გემოვნებას და ექსპლოატაციას უწევს ამ გემოვნებას დიდი აუდიტორიის მოპოვების მიზნით, მაგრამ ტელემაყურებელს სთავაზობს პრიმიტიულ სულიერ საზრდოს, რომლის ნიმუშიცაა ათასგვარი თოქ-შოუები, ბიოგრაფიული აღსარებანი, სადაც მოურიდებლად გვიჩვენებენ დრომოჭმულ, ხშირად ექსტრემალური ხასიათის მქონე თავისებურ საშინელებებსა და სექსუალურ გადახრებს...

სარეიტინგო მექანიზმების მეშვეობით ხდება ეკონომიკური გავლენა ტელევიზიაზე, ხოლო იმ ზემოქმედების გზით, რომელსაც ტელევიზია ახდენს ჟურნალიზმზე, იგი ვრცელდება ყველა დანარჩენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებაზე, თვით ყველაზე „დამოუკიდებელზეც“ კი და ჟურნალისტებზე, რომლებიც თანდათანობით ეფლობიან სატელევიზიო პრობლემატიკის ჭაობში. სწორედ ასევე მთლიანად ჟურნალისტური ველის გავლენა ახდენს აშკარად ცუდ ზემოქმედებას კულტურული პროდუქციის წარმოების სხვა სფეროებზე...

ჟურნალისტები, იმის გამო, რომ არ შეუძლიათ განსჯისთვის აუცილებელი დისტანციის დაცვა, ვაიმეხანძრის როლს ასრულებენ, რაც კიდევ უფრო მეტად აღვივებს ხანძარს. ისინი ხელს უწყობენ მოვლენათა შექმნას, ჯერ ხმაურს ტეხენ ამა თუ იმ შემთხვევის გამო, შემდეგ კი იწყებენ იმ პირთა მხილებას, რომლებიც თვითონ ჟურნალისტების მიერ დანთებულ ცეცხლზე ასხამენ ნავთს...

ჩვენ შეგვიძლია ბრძოლა და უნდა ვებრძოლოთ კიდეც რეიტინგს დემოკრატიის გულისთვის. ეს იქნება პარადოქსულადაც მოგვეჩვენოს, რადგან ისინი, ვინც იცავს რეიტინგის ბატონობას, გვიმტკიცებენ, რომ არაფერი არ არის ამაზე უფრო დემოკრატიული (ეს არის ყველაზე ცინიკოს რეკლამის შემკვეთთა უსაძვარლესი არგუმენტი (...), რომ ადამიანებს უნდა ჰქონდეთ ამა თუ იმ პრობლემაზე მსჯელობის და არჩევნის მოხდენის უფლება... რეიტინგი არის სანძიცა ბაზრისა და ეკონომიკის მხრიდან, ანუ გარეშე, წმინდა კომერციული კანონიერი წესრიგის მხრიდან. ამიტომ ამ სამარკეტინგო ინსტიტუტის მოთხოვნების დამორჩილება ყოველივე იმაში, რაც ეხება კულტურას, არის იმის ზუსტი ანალოგი, რასაც წარმოადგენს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვათა დემაგოგია პოლიტიკის მიმართ. რეიტინგით მართვადი ტელევიზია ხელს უწყობს საბაზრო ზემოქმედებას თავისუფალ და განათლებულ მოხმარებელზე. ამას არაფერი საერთო არა აქვს რაციონალური და განათლებული საზოგადოებრივი აზრის გამოხატვასთან და საზოგადოებრივ-გონებასთან, როგორც ამაში სურს ჩვენი დარწმუნება ზოგიერთ ცინიკოს დემაგოგს...

ცხადია, ამჟამინდელი ქართული ტელევიზიის მიმართ უამრავი რამ პრეტენზია აქვს დაგროვილი ჩვენს მაყურებელს და იქნებ სწორედ ამ ფრანგი ავტორის ეს წიგნი გახდეს საბაბი იმ დიდი მსჯელობისთვის, რომელიც ბოლოს და ბოლოს ჩვენშიც უნდა დაიწყოს, რათა მარტოოდენ მდარე სერიალებისა და ცხრა მთას იქით იაფად ნაყიდი ლიცენზიების მიხედვით ვითომ „ქართულად მორჯულებული“ ასევე მდარე პროექტების სამუდამო მძევლებად არ დავრჩეთ.

მოამზადა
გურამ წიკლაურმა

◎ ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავ!

რამდენიღა მიიტანს გატანჯულ სულს გამარჯვების 63-ე წლისთავამდე?!

სად არის ჩვენი ხელისუფლების „ქარვასლა?“

კრიმინალისტები გვარწმუნებენ, დამნაშავეს თავისი ბოროტმოქმედების ადგილი იზიდავს, ბევრი მისულა კიდეც იქო. ზოგი ფსიქოლოგი ამ ფენომენს სინდისის ქენჯნითაც ხსნის.

ეგებ, მთლად ზუსტი პარალელი არ არის, მაგრამ ყოველივე მათმიერის განმაქიქებელ-წამბილწველი, შიმშილით სასიკვდილოდ განმწირველი, შენივე ხელით ღირსების ქუდმოხდილთ 100-ლარიან „მესიად“ რომ წარუდგები, თანაც, როცა იცი – თბილისის საკრებულო აი, ამ ხალხის ვედრებისა თუ პროტესტის მიუხედავად მაინც გააორმაგებს წყლისა – სულზე 2 ლარი და 40 თეთრი – და ტრანსპორტის – 40 თეთრი – გადასახადებს და პირმოთნედ დაატრიალებ ბრტყელ-ბრტყელი, მაღალფარდოვანი სიტყვების კორიანტელს ამ შენგანვე ხელდაბანილ მამაულიშვილთა წინაშე სამშობლოსათვის მათი თავგანწირვის, ღვაწლის გამო, ალბათ, დამეთანხმებით, ზემოხსენებული პარალელი მთლად უადგილო არ უნდა იყოს.

მიბრძანდა ქალბატონი ნინო ბურჯანაძე კვლავ ვაკის პარკად გარდაქმნილ მეორე მსოფლიო ომის შეღავათ-და ღირსება აყრილ მოხუცებთან და ლამის ოსანა უგალობა. პრეზიდენტის ფონდიდან 100-100 ლარ დახმარებას მოგართმევენო, ისე ამაყად და მრავლისმეტყველად განაცხადა, თითქოს პანაცეას უწვდიდაო. მაგრამ როგორც კი მისი და მისნაირების მიერ წართმეული სიმბოლური შეღავათების დაბრუნებაზე შეკადრა რამდენიმემ უილაჯო სიტყვა, მყისვე ნაპოლეონისებური გაიხსენა, კონსტიტუციის შედგენისას რომ მიმართა შემსრულებლებს, ადამიანთა უფლებებსა და თავისუფლებებზე მოკლედ და ბუნდოვნად დაწერეთო.

რაკი სიმართლის თქმა – ვერ მოგართვითო – ეუხერხულა (საერთოდ, ჩვენს ხელისუფლებას ძალზე უჭირს სიმართლის თქმა), სწორედ ნაპოლეონისებურად მოკლედ და ბუნდოვნად ამოილულლულა რამდენიმე „დამაიმედებელი“ სიტყვა.

ღმერთო, რაოდენ კანონ თუ ბედის მორჩილი იყო ვეტერანთაგან ბევრი! ამაზედაც მადლობთო, თქვეს. მერედა, ასეთი კეთილშობილებით ასე ბოროტად სარგებლობას რა დავარქვათ?!

ეს ქეციანი 100-ლარიანი დახმარებები, თურმე, სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხი ყოფილა; რადგან 9 მაისს გამართული მთავრობის სხდომის 58 (!) განსახილველი საკითხიდან, ერთ-ერთი უპირველესი სწორედ ეგ იყო და აშშ-დან ბედნიერად დაბრუნებულმა ნოღაიდელმაც ამ საკითხით განაახლა მთავრობის ტრადიციული ოთხშაბათის სხდომები.

აფერუმ! ქვეყნის დაქცევა-გაპარტახება რატომღაც მთავრობის ყურადღების მიღმა რჩება (უფრო ზუსტად, თავად არიან ეგ დამაქცევარ-გამპარტახებლები და სწორედ ამათ გაკეთებულნი), ხოლო 100-ლარიანი ერთჯერადი დახმარება, ყველა ვეტერანზე გადაანგარიშებითაც ჩვენს ბიუჯეტსაც კი რომ არც დაეტყობა, „ბრძენთა“ სახმობი და სამსჯელო შექმნილა...

გაიარ-გამოიარეთ ქალაქში. ყველა სასმელი წყალი „სოკო“ უკვე „ხახაამოშაშრული“ დგას. ალბათ, მალე მოანგრევენ კიდეც, რადგან მოწმე, თუნდაც უტყვი, მაინც არა სჭირდებათ. სააკაშვილისეული თვალსახეირო შადრევნები თუ იჩქეფებს ძველებურად?

„ცაში გამოკიდებული“ პრეზიდენტიც დაეშვა მშობლიურ მიწაზე და ასეთი დღესასწაულების დროს დადგენილ „ხალხში გასვლის“ ჩვეულებას მიჰყვა. ამჯერად საამისოდ გურია შეარჩია და „ჩეროში“ გაშლილ მცირე სუფრას ომის ვეტერან ცინცაძის ოჯახში მიუჯდა. უყვარს ჩვენს პრეზიდენტს ხალხი, ხალხსაც უყვარს ჩვენი პრეზიდენტი: სწორედ იმ დღეს, 9 მაისს, სადგურის მოედანზე ერთ-ერთი „სამუსიკო“ ჯიხურთან ისმოდა „ლალები-ლალების“ მელოდიაზე აწყობილი კუპლეტები ასეთი მისამღერით: **„მიშას უყვარს ქალები, შენ კი გენაცვალები, დათვრება და გაფრინდება, ჩვენ გვედება ვალები...“**

ჯერ პარლამენტთან, მერე კი მერიასთან ხალხი ზიმზიმებდა, მაგრამ საკრებულომ მაინც გააორმაგა წყლისა და ტრანსპორტის გადასახადი. ხალხი კვლავ იმ ძაღლად დარჩა, უშედეგოდ რომ უყეფდა ქარავანს. ანდაზისეულმა ქარავანმა კი იცოდა, საითაც მიდიოდა, მაგრამ მხოლოდ უფალმა თუ უწყის, სადაა ჩვენი ხელისუფლებისა და მთავრობის „ქარვასლა“.

ჩამოფრინდა ბატონი მიხეილი. ხალხშიც გავიდა და ვეტერანებიც საზეიმოდ მიიღო. ასევე „დაფასა“ ომგადახდილნი ბურჯანაძემ და მერიამ და მყისვე მიივიწყა მომავალი წლის 9 მაისამდე.

გაისად ბევრად ნაკლების გაღება მოუწევს ბიუჯეტს. 80 წელს მიღწეულ-გადაცილებული ვეტერანების ასაკს დუხჭირი ყოფაც დააჭერს ფეხს და რამდენიღა მიატანს გატანჯულ სულს გამარჯვების 63-ე წლისთავამდე?!

კონსტანტინე გურგენიძე

1811-1814 წლებში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება იმ პოლიტიკის გაგრძელება იყო, რომლის მიზანსაც საქართველოს რუსეთის იმპერიის გუბერნიად გადაქცევა შეადგენდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე გაუქმდა მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ივერიის (მცხეთის) საპატრიარქო, ხოლო გაუქმებული საპატრიარქოს მთელ ტერიტორიაზე (ეპარქიებზე, ეკლესიებზე, მონასტრებზე) გავრცელდა რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის იურისდიქცია.

ეს ჩვენი ისტორიაა

ღვთით ბოძებული უფლების ხელყოფა

რუსეთი და საქართველოს ეკლესია (1771-1814 წწ).

ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის (1798-1800) გარდაცვალების შემდეგ, 1801 წლის აპრილში, პეტერბურგში ჩასულმა ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩებმა რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიას წარუდგინეს ნოტა, რომელიც ქართლ-კახეთის მმართველობას ეხებოდა. ნოტის მეექვსე პუნქტი სრულიად გარკვევით ითხოვდა კათოლიკოსობის შენარჩუნებას და ანტონ II-ს კათოლიკოს-პატრიარქად დატოვებას. ეს მუხლი ასე იწყება: „Как первенствующая нине в грузии по духовенству особа есть сын царя Ираклия _Антоний, имеющий по древнему тамошнему положению титул католикоса, и посвящен в царствование блаженния памяти императрицы Екатерины II в сан архиепископа в Царском селе и туда (ქართლ-კახეთის სამეფოში — ვ. გ.) отправлен для управления тамошных (ქართლ-კახეთის — ვ. გ.) духовенств, то и оставить его при том достоинстве и звании". ნოტის მეექვსე მუხლი კათოლიკოს-პატრიარქის თანამდებობის შენარჩუნებასთან ერთად ითხოვდა ქართლ-კახეთის სამეფოს მთელი სამღვდელოების უფლებრივი მდგომარეობის შენარჩუნებას: „равно как и всех прочих, в епархиах своих, пребывающих, митрополитов архиепископов и епископов, также архимандритов и игуменов с их причтом, протоиереев, иереев, дяконов и прочих церковнослужителей _ каждаго при своем звании и мест, о коих _ кто имянно, и сколько их есть".

ამრიგად, ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩების ნოტის მეექვსე პუნქტი მთელი კატეგორიულობით აყენებდა ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლის შემდეგ ეკლესიის ავტოკეფალიის შენარჩუნების საკითხს.

პავლე I-ის 1801 წლის 18 იანვრისა და ალექსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტებში, რომელთა ძალითაც ქართლ-კახეთის სამეფო გაუქმდა და რუსეთის იმპერიას შეუერთდა, ერთი სიტყვითაც არაა ნათქვამი მცხეთის ავტოკეფალური საპატრიარქოს (ქართლ-კახეთის ეკლესიის) რუსეთის ეკლესიასთან შეერთებასა ან მისდამი დაქვემდებარების თაობაზე. პირიქით, ალექსანდრე I-ის მანიფესტი ქართლ-კახეთის მოსახლეობას აუწყებდა: „каждый пребудет при преимуществах состояния своего, при свободном отправлении своей веры и при собственности своей неприкосновенно". მანიფესტის ქართულ თარგმანში ეს ადგილი ასეა წარმოდგენილი: „დავაწესო საქართველოსა შინა მმართებლობა, რომელსაცა ექლოსცა დამყარება მართლმსაჯულებისა, ნივთისა და საქონლისა უშიშროებისა, და მიცემად თითოეულსა დაცვა სჯულისა." 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტი მოითხოვდა ქართლ-კახეთის მოსახლეობის რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დაფიცებას, რაც რუსეთის ქვეშევრდომობის მიღებას ნიშნავდა. მანიფესტში აღნიშნული იყო, რომ დაფიცების პროცესში „Духовенство, яко пастыри душевные, первые должны дать пример" ქართულ თარგმანში: „სამღვდელოთა, ვითარცა მწყემსთა სულისა თანა, პირველად შვენისთ მიცემა მაგალითისა."

1801 წლის 12 სექტემბერს ალექსანდრე I-მა მანიფესტთან ერთად ხელი მოაწერა კიდევ ორ დოკუმენტს — **„რესკრიპტს"** და **„მოწოდებას ქართველი ხალხისადმი"**. 12 სექტემბერსვე იმპერატორმა დაამტკიცა **„საქართველოს შინაგანი მმართველობის დადგენილება."** ამ დოკუმენტებში გაუქმებული ქართლ-კახეთის სამეფოს ეკლესიის მმართველობის ან მისი რეორგანიზაციის შესახებ არაფერი ყოფილა ნათქვამი. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთთან შეერთების შემდეგ ეკლესია (მცხეთის ავტოკეფალური საპატრიარქო) ინარჩუნებდა თავის უფლებრივ მდგომარეობას — ადგილს მსოფლიოს მართლმადიდებელ საპატრიარქოთა შორის. თავისი უფლებებით აღჭურვილი რჩებოდა **კათოლიკოს-პატრიარქი** და **საეკლესიო კრება,** ძველებურად განაგრძობდა ფუნქციონირებას ყველა **ეპარქია, ეკლესია** და **მონასტერი.** ეკლესიის საკუთრებაში რჩებოდა მთელი **უძრავი** და **მოძრავი ქონება.** კათოლიკოს-პატრიარქსა და საეკლესიო კრებას კვლავინდებურად უნდა ეხელმძღვანელა მსოფლიო მართლმადიდებელ სამყაროში მიღებული სამართლებრივი ნორმებით (კანონებით) — საეკლესიო სამართლით და ქართული სამართლით (ვახტანგ VI-ის სამართლით).

მართალია, 1801 წელს რუსეთის იმპერატორმა თავი შეიკავა და ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებასთან ერთად არ გააუქმა სამეფოს ტერიტორიაზე არსებული მცხეთის საპატრიარქო, ეს მხოლოდ დროებითი მოვლენა იყო. რუსეთის საიმპერატორო კარი და რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდი არ დაუშვებდნენ ისტორიითა და ტრადიციით რუსეთის ეკლესიაზე ბევრად აღმატებული ივერიის (მცხეთის) საპატრიარქო ტახტის სუვერენიტეტის შენარჩუნებას ყოფილი ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე.

1810 წლისათვის რუსეთის იმპერიამ დაასრულა დასავლეთ საქართველოს — სამეგრელოს სამთავროს, აფხაზეთის სამთავროს, გურიის სამთავროს, იმერეთის სამეფოს — დაპყრობა. კავკასიის მთავარმართებელს გენერალ **ალექსანდრე ტორმასოვს** დაევალა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ორივე საპატრიარქოს (მცხეთისა და აფხაზეთის) გაუქმება. ამისათვის, პირველ რიგში, საჭირო იყო კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ის საქართველოდან რუსეთში გაწვევა (აფხაზეთის კათოლიკოს-პატრიარქი მაქსიმე II-ს 1795 წელს გარდაიცვალა). 1810 წლის 3 ნოემბერს რუსეთის საიმპერატორო კარის მოთხოვნით ანტონ II რუსეთში გაემგზავრა. ანტონ II-მ წინააღმდეგობა ვერ გასწია, თუმცა კარგად იცოდა რისთვის იწვევდნენ რუსეთში (კათოლიკოს-პატრიარქი საქართველოში ველარ დაბრუნდა, 1827 წელს რუსეთში გარდაიცვალა). ალექსანდრე ტორმასოვმა ქართლ-კახეთის ეკლესიის მმართველობის პროექტის შედგენა მიტროპოლიტ **ვარლამს** (ერისთავს) დაავალა. ეს პროექტი დაედო საფუძვლად ა. ტორმასოვის მოხსენებას უწმიდესი სინოდისადმი. 1811 წლის 12 თებერვალს გენერალი **ა. ტორმასოვი** რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის ოპერ-პროკურორ თავად **ალექსანდრე გოლიცინს** წერდა, რომ კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II სამართლიანი და იშვიათი თვისებების მქონე ადამიანია. ა. ტორმასოვის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა იმპერატორის შესაბამისი ბრძანება, საქართველოს ეკლესიის მმართველად უნდა დაენიშნათ **ეგზარქოსი,** ხოლო კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I დატოვებული ყოფილიყო რუსეთში და მას საქართველოს ეკლესიის შემოსავლიდან დანიშვნოდა პენსია 6 ათასი მანეთის ოდენობით. **ა. ტორმასოვის** მოხსენების შემდეგ პეტერბურგში ბევრი აღარ უფიქრიათ. ამ მოხსენების საფუძველზე სინოდის ოპერ-პროკურორმა ა. გოლიცინმა 1811 წლის 21 ივნისს შეადგინა **„მმართველი სინოდის უქვეშევრდომილესი მოხსენება."** მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ საქართველოში (ქართლ-კახეთში) რუსული მმართველობის შემოღების შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქობა უქმდებოდა და კათოლიკოს-პატრიარქის ადგილს იკავებდა რუსეთის ეკლესიის უწმიდეს სინოდს დაქვემდებარებული **ეგზარქოსი.** იმპერატორმა ალექსანდრე I-მა 1811 წლის 30 ივნისს „მმართველი სინოდის უქვეშევრდომილესი მოხსენება" უცვლელად დაამტკიცა. ალექსანდრე I-ის ბრძანების თანახმად, დაპყრობილი ქართლ-კახეთის სამღვდელოება უნდა დამორჩილებოდა **„მცხეთისა და ქართლის მიტროპოლიტს",** რომელიც იქნებოდა რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის წევრი და ამავე დროს ექნებოდა **„საქართველოს ეგზარქოსის"** ტიტული. საქართველოს პირველ ეგზარქოსად დაინიშნა ქსნის ერისთავთა საგვარეულოს წარმომადგენელი, მიტროპოლიტი **ვარლამი.**

უწმიდეს სინოდს დაქვემდებარებული ეგზარქოსი საქართველოში უმაღლეს იერარქად ითვლებოდა.

მმართველი სინოდის 1811 წლის 21 ივნისს **„უქვეშევრდომილეს მოხსენებაში"** მცხეთის ავტოკეფალური საპატრიარქოს გაუქმების ერთადერთ მიზეზად ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და ყოფილი სამეფოს ტერიტორიაზე რუსული მმართველობის დამყარება იყო დასახელებული. ეს კი ეწინააღმდეგებოდა **ეფესოს წმიდა III მსოფლიო საეკლესიო კრების** (431 წ.) მერვე კანონს. ამ კანონის მიღების საფუძველი გახდა ანტიოქიის ეკლესიის მცდელობა თავისი იურისდიქციისათვის დაემორჩილებინა კვიპროსის ეკლესია და, შესაბამისად, კვიპროსის ეკლესიისათვის ჩამოერთმია ავტოკეფალური უფლებები, რომლითაც იგი ძველთაგანვე სარგებლობდა. რადგან კვიპროსის ეკლესია ძველთაგანვე ავტოკეფალურად იყო აღიარებული, III მსოფლიო საეკლესიო კრებამ დაიცვა კვიპროსის ეკლესიის ავტოკეფალია.

ივერიის (მცხეთის) უძველესი ავტოკეფალური მართლმადიდებელი საპატრიარქოს გაუქმებისათვის აუცილებელი იყო შემდეგი:

პირველი. კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ს უნდა მოეწვია საეკლესიო კრება, რომელსაც უნდა მიეღო დადგენილება ავტოკეფალური უფლების დათმობისა და ავტოკეფალიის გაუქმების თაობაზე. ასეთი საეკლესიო კრება მოწვეული არ ყოფილა.

მეორე. ლიკვიდირებული ივერიის (მცხეთის) საპატრიარქოს რუსეთის ეკლესიის იურისდიქციაში შესვლის თაობაზე თანხმობა უნდა მიეცა რუსეთის საეკლესიო კრებას. იმხანად რუსეთში საეკლესიო კრებას აღარ იწვევდნენ, ხოლო უწმიდესი სინოდი საეკლესიო კრებას ვერ შეცვლიდა.

მესამე. მსოფლიოს უძველესი ივერიის (მცხეთის) ავტოკეფალური საპატრიარქოს გაუქმებისათვის აუცილებელი იყო მსოფლიო მართლმადიდებელი საპატრიარქოების (იერუსალიმის, ანტიოქიის, ალექსანდრიის) და, პირველ რიგში, კონსტანტინეპოლის მსოფლიო პატრიარქის თანხმობა. ასეთი თანხმობა რუსეთს არ უთხოვია და, ცხადია, არც მიუღია.

ამრიგად, 1801 წლის 12 სექტემბრის უკანონო აქტს, რომლის ძალითაც გაუქმდა ქართლ-კახეთის სამეფო, მოჰყვა მეორე — 1811 წლის 30 ივნისის უკანონო აქტი, რომლის ძალითაც გაუქმდა მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ავტოკეფალური საპატრიარქო — ივერიის (მცხეთის) საპატრიარქო.

1814 წლის 30 აგვისტოს იმპერატორმა ალექსანდრე I-მა ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლის ძალითაც საქართველოში საეკლესიო მმართველობის სისტემამ ცვლილება განიცადა. თბილისში დაარსდა რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის **საქართველო-იმერეთის სინოდარული კანტორა.** უმაღლესი საეკლესიო იერარქი **საქართველოს ეგზარქოსი** იყო, რომლის ძალაუფლებაც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა. საქართველო-იმერეთის სინოდარული კანტორის შექმნასთან დაკავშირებით ქუთათელ მიტროპოლიტ **დოსითეოსს (წერეთელს)** აეკრძალა აფხაზთა საკათალიკოსოს საქმეთა განგება (მიტროპოლიტ დოსითეოსს კათოლიკოსობა უბოძა იმერეთის მეფემ სოლომონ II-მ, მაგრამ კურთხევა არ მომხდარა. სწორედ ამიტომ მიტროპოლიტი დოსითეოსი საბუთებში ასე იხსენიება: **„ყოვლად სამღვდელო ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოზ და განმგე საკათალიკოზოსი."**) 1814 წლის ბოლოდან მიტროპოლიტი დოსითეოსი მხოლოდ ეპარქიის მღვდელმთავარია და აფხაზეთის საკათალიკოსოს საქმეებს აღარ განაგებს. აფხაზეთის კათოლიკოს-პატრიარქისა და აფხაზეთის საკათოლიკოსოს იურისდიქცია შეწყდა და ყოფილი საკათოლიკოსოს ტერიტორია საქართველო-იმერეთის სინოდარულ კანტორასა და საქართველოს ეგზარქოსს დაექვემდებარა.

1811-1814 წლებში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება იმ პოლიტიკის გაგრძელება იყო, რომლის მიზანსაც საქართველოს რუსეთის იმპერიის გუბერნიად გადაქცევა შეადგენდა.

ვახტანგ გურული,
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

დასასრული. დასაწყისი **იხ. „სრ" № 88.**

№ 89. პარასკევი, 11 მაისი, 2007 წელი.

მამული

● ჩვენი ღრმა რწმენით, ყოველი დიდი საქმე საერთო-სახალხო განხილვით უნდა დაიწყოს. რაც შეეხება მოსახლეობის დაბეგვრას, ნუ აჩქარდებით, უკულმართმა დრომ რაჭა ჩიხად გადააქცია, სამარცხვინო „ოსურმა კონფლიქტმა“ ყველაზე მეტად რაჭა დააზარალა. ჩაკეტილია მისი სასიცოცხლო არტერია — ერწოს გადასასვლელი

◎ ხელისუფლების საყურადღებოდ

რაჭას და რაჭველებს სულს ნუ ამოვხდით!

ახლახან გაზეთ „რეზონანსში“ გამოქვეყნებული მცირე ცნობით, ბოლოს და ბოლოს, ყურმოკრული დადასტურდა და გავიგეთ, რომ „რაჭაში, შაორის ტბაზე, უახლოეს ხანში კურორტი გაშენდება, რომელიც ზაფხულსა და ზამთარში ერთნაირი დატვირთვით იმუშავებს“. კორესპონდენტისთვის საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრს გიორგი არველაძეს განუცხადებია: „როგორც კი კარგი ამინდი გამოვა, შაორის ტბაზე ავალ და პრეზენტაციას იქ გავაკეთებ. შაორი უნიკალური კურორტია და მას გამოყენება-ათვისება სჭირდება“.

ბატონი მინისტრის გასაგონად უნდა აღვნიშნო, რომ შაორი ტბა არ არის — წყალსაცავია, რომელიც სტალინურ ეპოქაში აიგო, ნიკორწმინდას, თლუღს, აგარა-უყეშს, ჭელიაღელეს და სხვა სოფლებს აყრა დაემუქრა, ამ ამბავმა ადგილობრივი მცხოვრებნი იმდენად შეაწუხა, შეკავშირდნენ და სტალინის ჩინოვნიკებმა უკან დაიხიეს, უძველესი ტრადიციული სოფლები გადასახლებას გადაურჩნენ, მაგრამ წყალსაცავის დაგუბებით ეკოლოგიური წონასწორობა მაინც დაირღვა, მოსახლეობა ძლიერ დაზარალდა, სახნავ-სათესი, სათიბ-საძოვარი მნიშვნელოვნად შეუმცირდა. წყალში ჩაიძირა და მოისპო როგორც ბუნების, ისე ისტორიული ძეგლები, მათ შორის კალმახით სავსე ორი საოცარი ტბა — „ხარისთვალი“ და „ძროხისთვალი“. სინესტემ ნიკორწმინდის დიდებულ ტაძარსაც შეუტია...

XX ს-ის 80-90-იან წლებში, როცა წყალსატევების წინააღმდეგ ფართო კამპანია გაჩაღდა, მაშინდელი „რევოლუციონერები“ შაორის წყალსაცავის დაშრობას აპირებდნენ, რაჭის საზოგადოებამ მოჯანყეთა დაშოშმინება შეძლო და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში შაორის ბედის გადასაწყვეტად მეცნიერ-სპეციალისტთა დისკუსია რამდენიმე თვე მიმდინარეობდა. ხანგრძლივი განსჯის შედეგად ცხადი გახდა, რომ შაორის წარმტაცი ველის წყლით დაფარვას გამართლება არ ჰქონდა, ამან რაჭის ხელთუქმნელ, ღვთაებრივ ბუნებას აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა, მაგრამ წყალსაცავის ხელაღებით დაშრობას ეკოლოგიური კატასტროფა მოჰყვებოდა, ყვავილოვანი ველის ნაცვლად მივიღებდით დაუშრობელ ჭაობს, რომელიც გარემოს მოწამლავდა, ხოლო ამ გაფუჭებული მიწის აღდგენას მილიარდები დასჭირდებოდა. თუ ოდესმე საქართველოს შესაძლებლობა მიეცა, შაორს, რა თქმა უნდა, პირველადი სახე უნდა დაუბრუნდეს, ამჟამად კი წყალსაცავის რეგულირება ისე უნდა წარიმართოს, რომ მან ეკოლოგიური წონასწორობა ნაკლებად დაარღვიოს. მეცნიერული აზრის დროული ზეგავლენის შედეგად შაორის წყალსაცავი გადარჩა. დასანანია, რომ მისი მოვლა-პატრონობისთვის თითქმის არაფერი კეთდება, რასაც რაჭის მოსახლეობა მტკივნეულად განიცდის, მიმდებარე უნიკალური ტყეები კი იჩეხება...

რაც შეეხება განზრახვას, რომ შაორზე დიდი კურორტი უნდა აშენდეს, ეს სერიოზული საქმე თვითნებურად, სადღაც კაბინეტში არ უნდა გადაწყდეს, პირველი სეფე სიტყვა ხალხს და მეცნიერ-სპეციალისტებს ეკუთვნის. დემოკრატიულ ქვეყანაში ბოლშევიკური მეთოდები აღარ გამოდგება.

ზემოთ მითითებულ სტატიაში ბუნდოვანი ლაპარაკია საკურორტო ზონების მოსახლეობის დაბეგვრაზე, რაჭა მთლიანად საკურორტო ზონაა. აქ, უპირველეს ყოვლისა, ტრადიციული სოფლები უნდა შევინარჩუნოთ ძირძველი მოსახლეობით, ხოლო კურორტი და ტურიზმი იმ დოზით უნდა განვავითაროთ, რომ ადგილობრივი მოსახლეობა მიზანმიმართულად დასაქმდეს, კურორტებსაც მიხედოს და ტურისტებიც იმ ისტორიულ გარემოში მიიღოს, რითაც რაჭა ჯერ კიდევ გამოირჩევა, სახელდობრ — ყოფით, მეურნეობით, ბუნებით, ძეგლებით და რაც მთავარია — კულტურით.

ვფიქრობთ, რაჭისთვის და საერთოდ მთელი საქართველოსთვის საუკეთესოა ბიოსფერული ნაკრძალის იდეა, რომელიც ბუნებისა და ადამიანის, მისი ტრადიციული მეურნეობის სიმბიოზს გულისხმობს. ადამიანი თავისი საქმიანობით ბუნების ნაწილად მოიაზრება. ის ბუნებას კი არ იპყრობს, არამედ მასთან ჰარმონიაშია...

რაჭა ურაჭველებოდ, ისევე როგორც საქართველო უქართველებოდ?, ეს ღმერთმა ნუ ქნას! ეს რომ არ მოხდეს, ხელისუფლებამ და ხალხმა ერთად უნდა იმოქმედოს. ჩვენი ღრმა რწმენით, ყოველი დიდი საქმე საერთო-სახალხო განხილვით უნდა დაიწყოს. რაც შეეხება მოსახლეობის დაბეგვრას, ნუ აჩქარდებით, უკულმართმა დრომ რაჭა ჩიხად გადააქცია, სამარცხვინო „ოსურმა კონფლიქტმა“ ყველაზე მეტად რაჭა დააზარალა. ჩაკეტილია მისი სასიცოცხლო არტერია — ერწოს გადასასვლელი. ამ უძველესი და უმოკლესი გზით რაჭასთან ერთად, მთელი დასავლეთ საქართველოს მთიანეთი დედაქალაქს — თბილისს უკავშირდებოდა. დღეს რაჭაში ჩასვლა და იქიდან წამოსვლა ისეა გაძნელებული და გაძვირებული, რომ ხელმოკლე მოსახლეობას ტყავი ძვრება. ზამთრობით მაინც სახლების უმეტესობა დაკეტილია. დაკეტილ სახლებში თუ პატრონებს გადასახადები შევაწერეთ, ისედაც სულთმობრძავ რაჭულ სოფელს საბოლოოდ ამოვხდით სულს. და რომ ეს ასე არ მოხდეს, ერთად გავისარჯოთ, რაჭას მრავალი თვალსაჩინო სპეციალისტი ჰყავს, რომელთა ნააზრევი ხელისუფლებასაც წაადგება და გადაშენების გზაზე დამდგარ ამ დიდებულ მხარესაც.

ლევან ფრუიძე

◎ ვალუტა

თქვენ გვიპარნახეთ, ჩვენ შევასრულეგთ?!

ჩვენი მთავრობა საკუთარი გადაწყვეტილებითა და სურვილით, როგორც ჩანს, ტუალეტშიც ვეღარ შესულა

ეს ამბავი ხვლიკისფერ დოლართან დაკავშირებით გამახსენდა. ჩვენი ხელისუფლება ისე მჭიდროდ არის მიწებებული მწვანე კუპიურას, საერთოდ, ქვეყნის მართვის ამერიკულ პოლიტიკას, რომ ოკეანისგაღმელთა რჩევისა თუ კარნახის გარეშე ნაბიჯის გადადგმაც აღარ შეუძლია. თავად დოლარი ამას რატომღაც ანგარიშს არ უწევს და აგერ უკვე წელიწადზე მეტია უკანმოუხედავად თავქვე მიექანება. თუმცა ეს სრულებითაც არ უშლის ხელს ამერიკულ მსხვილ საფინანსო ორგანიზაციებს, საქართველო გაუფასურებული დოლარით უხვად მოამარაგონ და ჩვენი ეროვნული ვალუტის გამყარებაზე იზრუნონ.

უცნაურია, არა? თანაც არალოგიკური — ამერიკელებს საკუთარი ვალუტის იმიჯი თვალსა და ხელსშუა უქრებათ და ამ დროს, თურმე, ისინი ქართული ლარის კურსის განსამტკიცებლად მუხლებზე დაჩოქილნი ხატზე ლოცულობენ. სწორედ ამაზე იტყვიან, კუდა ხარი თავისთვის არ იყო და სხვას ბუზებს უგერიებდაო. შეიძლება ამერიკისთვის ასეთი „იარლიყის“ მიწებება ცოტა უხერხულიც იყოს, მაგრამ თუ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მისი ნაღვაწი ასეთ შეფასებას ნამდვილად იმსახურებს?

რა თქმა უნდა, სწორად იქცევა საქართველოს ეროვნული ბანკი, როცა ამერიკული დოლარის გაჭირვებას საკუთარი ვალუტის გასამყარებლად იყენებს, მაგრამ თუ ჩვენს კეთილისმყოფელ უცხოელ ფინანსურ მაგნატებს ქართველი ხალხისა და ლარის ბედი ნამდვილად ადარდებთ, რატომ მიაცილებენ მას მხოლოდ ბანკის კარამდე, სამომხმარებლო ბაზრის ინფლაციით გამოხრულ დახლებამდე კი აღარ მიყვებიან? იმ დახლებამდე, სადაც წლიური ინფლაცია უკვე 10 პროცენტს აღემატება? თუ ასე გაგრძელდა (სპეციალისტთა პროგნოზი ამის გარანტიას იძლევა), ეს ნიშნავს, რომ ჩვენში წლის ბოლომდე პურის ფასი ლარამდე გაიზრდება, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა პროდუქტებზე, რომელთა ფასიც ასევე ყოველდღიურად მატულობს.

ასეა. რაც არ უნდა გაუგებარი იყოს ჩვენი ამერიკელი მრჩევლებისა, და საკუთარი მთავრობისთვის, ქვეყნის ბანკებსა და ვალუტის გადამცვლელ პუნქტებში ლარის კურსი დოლართან მიმართებაში, მისი ავტორიტეტი თებერვლის ქარს ადევნებული თოვლის ნამქერივით დნება. მასთან ერთად დნება ისედაც მცირეშემოსავლიანი და გაღატაკებული მოსახლეობის იმედიც, განსაკუთრებით სახელმწიფო დახმარების ხელშემყურე ადამიანების და პენსიონერებისა, რომლებიც დღემდე პურთან ერთად კარტოფილისა და შაქრის ყიდვას თუ ახერხებდნენ, ალბათ აწი ამასაც უნდა დაემშვიდობონ.

ჰოდა, ამის შემდეგ მოდი და დაიჯერე, რომ გაუფასურებულ დოლართან შეჭიდებული ეროვნული ვალუტის კურსი მყარდება და მყარდება, ცხოვრება კი სულ უფრო იაფდება და იაფდება! შენ ნუ დაიჯერებ რა, რაც მთავარია, მთავრობას სჯერა და ესეც საკმარისია, იგი იმდენად მონუსხულია მწვანე კუპიურისა და ამერიკული რჩევა-რეკომენდაციების ძლევამოსილებით, რომ საკუთარი სურვილით ტუალეტშიც ვეღარ შესულა (!).

ეს თითქოს სულაც არ აწუხებს თავად ამერიკულ დოლარს და არც ის აფიქრებს, რომ საერთაშორისო ბაზარზე მარცხს მარცხზე განიცდის. იგი შეუბრალებლად დაჯაბნა არა მარტო ახალფეხადგმულმა ევრომ, არამედ ბრიტანულმა სტერლინგმაც, რომლის კურსმა უკვე 2 დოლარს მიაღწია და კიდევ ახალი ნახტომისთვის ემზადება.

და მაინც, რა ხდება? ამაზე დამაჯერებელი პასუხი აქვთ სავალუტო ბაზრის ექსპერტებს, რომელთა აზრით დოლარის კურსის ვარდნა უკავშირდება ამერიკის ეკონომიკის სტაგნაციას და არა ვალუტის ირგვლივ ატეხილ სპეკულაციებს. ამ ქვეყნის ეკონომიკამ, რომელიც 2001 წლიდან სწრაფი ტემპით იზრდებოდა და აღარც კი იცოდნენ ბიუჯეტის გადამეტებით მიღებული თანხები როგორ გაეხარჯათ, თავისი განვითარების პიკს მიაღწია და შემდეგ უკუსვლა დაიწყო, რაც არცთუ შემთხვევით დაკავშირებულია პრეზიდენტ ბუშის ერაყულ პოლიტიკასთან.

ექსპერტები აქვე მიანიშნებენ ამერიკის ეკონომიკის პარალიზების მეორე არსებით მიზეზზეც. ეს გახლავთ ქვეყნის ხელისუფლების ორიენტაციის შეცვლა — სამრეწველო პროდუქციის წარმოების პრიორიტეტულობიდან მომსახურების სფეროს განვითარებაზე გადართვა, რამაც, ბუნებრივია, ეკონომიკის ზრდაზე უარყოფითად იმოქმედა. ამის დასტურად გამოდგება თუნდაც დღეს მსოფლიო ეკონომიკის ლიდერებად აღიარებული იაპონიის, გერმანიისა და შვეიცარიის მაგალითი, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში უპირატესობას სამრეწველო დარგების განვითარებას ანიჭებან.

ამის შეხსენება ალბათ არ აწყენდა ჩვენს ხელისუფლებასაც, რომელმაც ამერიკის წაბაძვით თუ იქაურ მრჩეველთა უშუალო კარნახით მრეწველობა საერთოდ დაივიწყა და მთლიანად მომსახურების სფეროს განვითარებაზე გადაეგო. ამას არც მალავს საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც ხშირად შეგვახსენებს: მთავარია გავიყვანოთ გზები, ავაშენოთ სასტუმროები და შარდევნები, მოვიზიდოთ ტურისტები, გავაფართოოთ მომსახურება და შემდეგ ვიზრუნოთ ახალი საწარმოების გახსნასა და ხალხის დასაქმებაზეო.

კი მაგრამ, თუ ამასობაში ის გიგანტი საწარმოები (დედაქალაქში, ქუთაისში, რუსთავში, ზესტაფონში, ჭიათურაში და სხვაგან), სადაც გზები კარგახნის მიყვანილია, უკვე „გარდაგვეცვალა“? ამაზე ხელისუფლებას პასუხი რატომღაც არა აქვს. ალბათ იმიტომ, რომ ამერიკელი პარტნიორების რჩევით, ჩვენ ვართ ის სახელმწიფო, რომელიც მწარმოებელი ქვეყნიდან ნელნელა უნდა გადაიქცეს (თუ უკვე არ გადაიქცა) სხვის მომსახურე ქვეყნად.

მორჩა და გათავდა!

მარტო ეს არ გახლავთ. ხელისუფლების კისერზეა ისიც, რომ მისგან ერთ დროს უღმერთოდ მოტყუებული, მწარედ გაცუცურაკებული მოსახლეობა დღეს თავის მცირე დანაზოგის ბანკში დაგროვებას ეროვნული ვალუტით კი არა, ისევ და ისევ დევალვირებული ამერიკული დოლარით არჩევს. ეს მას მართალია ძვირად უჯდება — ბანკისთვის მიბარებული ფულიდან ცალკე ზარალდება და ბაზარში აგორებული ინფლაციიდან კიდევ — ცალკე, მაგრამ თუ სხვა გამოსავალი არა აქვს, როგორ მოიქცეს? დღეს მსოფლიოში ხომ საიმედო ფული საერთოდ არ არსებობს?

ოთარ ხუციშვილი

სოფელი

● სოფელ ტაბაწყურის მცხოვრებმა ჩემთან საუბარში აღნიშნა, მათ სოფელში ცოფის ინფექციის გავრცელების სავარაუდო წყარო ეგრეთ წოდებული „წითელი მგლებია“. ისინი რამდენიმე წლის წინათ ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკში სპეციალურად ჩამოუყვანიათ ამერიკიდან. მგლების ეს პოპულაცია შედარებით სწრაფად ვრცელდება და ადგილობრივი ჯიშის მგლებსაც უწევსო

◎ პრობლემა

აჯი, ტყე შევუნახოთ შვილებსაო?!

ნუთუ ყველანი გავგენდუქიძევდით?

ნამდვილად ვერ წარმომიდგენია, ჩემი სოფლის ფერდობებზე შეფენილი ტყეები კონკრეტულად ერთი ვინმეს საკუთრება გახდეს. სოფლის გლეხობის სარჩო-საბადებელი სწორედ ამ ტყეებთან არის დაკავშირებული. მათი ყოველი დილა ტყეში წასვლით იწყება.

ზოგიერთი სიმინდს ფქვავს წყლის წისქვილზე, ზოგი ფართობზე გაშენებულ თხილს დასტრიალებს თავს. ბევრი მისთვის შემოღობილ მიწის ნაკვეთს ბარავს, თესავს, სიმინდი რომ მოიყვანოს და ოჯახი არჩინოს. რა თქმა უნდა, ტყიდან შეშაც გამოაქვს, მაგრამ ეს კარგი ცხოვრებით როდი არის ნაკარნახევი. მაშინ, როდესაც სოფელში გაზს დაატარებდნენ და თითო ბალონის ღირებულება მანეთი და 82 კაპიკი იყო, გაზს ყველა ყიდულობდა და შეიძლება ითქვას, მთელი სოფელი გაზს მოიხმარდა, ამით ტყეებიც ნაკლებად ნადგურდებოდა.

ახლა, როდესაც დრო შეიცვალა, მთელი სიმძიმე მართალია ტყეს დააწვა, მაგრამ გლეხმა კარგად იცის, რომელი ხე მოჭრას, შეშად რომელი გამოადგება. იგი უმეტესად ხმელ ხეებს ჭრის და ამით საშუალებას აძლევს ახალ ნარგავებს, თავისუფლად გაიზარდონ და გაიხარონ. იმისათვის, რომ ამ მიმართულებით წესრიგი დამყარდეს, ელემენტარული კონტროლია საჭირო. გლეხმა არ უნდა გადააჭარბოს, თორემ მისი ოჯახისთვის საკმარისი შეშის მოჭრამ არა მგონია, ტყე გააჩანაგოს. აი, თუ ტყეს ვინმე ზედმეტად შეეხება, საღ ხეებს მოჭრის და მას ფულის საშოვნელად გამოიყენებს, უცხოზე გაყიდის, მაშინ უნდა ავტეხოთ განგაში, თორემ მოსახლეობა თუ ტყეს ზომიერად მოიხმარს და თან უპატრონებს, ვფიქრობ, ამაში ცუდი არაფერია. ჩაკეტილი ტყე მგლების სათარეშოდ ხომ არ გვჭირდება. აქამდე არასოდეს გამიგონია და ახლა, ეს ბოლო ორი წელიწადია, გურიის ტყეებს მართლა შეესია მგლები. ვინ იცის, რამდენი პირუტყვი დაგლიჯეს. სწორედ ამას უნდა მივხედოთ და არა იმას, რომ ტყეები გავყიდოთ და ერთ მესაკუთრეს ჩავუგდოთ ხელში.

ამ უკეთურ საქმეს უფალიც გვიკრძალავს და ბიბლიაში გვეუბნება: „მიწა სამუდამოდ არ უნდა გაიყიდოს, რადგან ჩემია მიწა, რადგან თქვენ მდგმურები და ხიზნები ხართ ჩემთანო“. მაგრამ ვის ესმის ეს შეგონება. უკვე რამდენიმე დღეა, რაც საქართველოს ტყის ერთი ნაწილი 9,5 მილიონ ლარად გაიყიდა. მესაკუთრეები გაიძახიან, ტყეს ზიანი არ მიადგებაო, მაგრამ რამდენად სარწმუნოა, ეს არავინ იცის.

საერთოდ, ბიუჯეტის შევსების მიზნით ტყის გამოყენება, ვფიქრობ, არასწორია, რადგან იგი ძირითადად ფერდობებზეა გაშენებული და უპირველესად დაცვითი ფუნქცია აქვს ღვარცოფის, მეწყერების, წყალდიდობების წინააღმდეგ. საქართველოში ყველამ კარგად ვიცით მეწყერებითა და ღვარცოფებით რამდენი სოფელი ზარალდება. ხშირად მკვიდრი მოსახლეობა, ადამიანები, ადგილებიდან იყრებიან და სხვა რაიონებში სახლდებიან, რაც საკმაოდ რთულია და სახელმწიფოს მხრიდანაც დიდი რაოდენობით თანხების გაღებასთან არის დაკავშირებული. თუნდაც ამიტომ სახელმწიფომ არ უნდა გაასხვისოს ტყე.

ცნობილია მსოფლიოში აღიარებული მდგრადი განვითარების პრინციპები, რომლის მიხედვითაც ტყეების გრძელვადიანი იჯარით გადაცემა არ შეიძლება, რადგან მისი მეპატრონე უმეტესწილად ამ ტყეს სამეურნეო დანიშნულებით გამოიყენებს, რაც დამღუპველი იქნება.

როგორც ვხედავთ, ჩვენი მთავრობა ამას არ ითვალისწინებს. ვითომ მეპატრონე, რომელმაც მასში მილიონები გადაიხადა, ტყეს დაინდობს? გარდა ამისა, მეპატრონე, გინდ ქართველი იყოს და გინდ ჩინელი, ჩვენს გლეხკაცს შეუშვებს მის მიერ ნაყიდ ტყეში და თუნდაც ფიჩხს გამოატანინებს? ტყის გაყიდვას ჩვენი მოსახლეობა, ვფიქრობ, ძნელად შეეგუება და ვინ იცის, ამას რა შედეგები მოჰყვება საბოლოოდ. ბიუჯეტის შესავსებად ტყეების გამოყენება არაეფექტიანია, რადგან ბიუჯეტში თანხა მალე გაიხარჯება, ხოლო გაჩეხილი ტყეების აღდგენას ათეული წლები დასჭირდება.

ხელისუფლება გაიძახის, საქართველო ტურიზმის ქვეყანაა და მსოფლიოს მოსახლეობას მოუწოდებს, დაათვალიეროს იგი, მაგრამ იმაზე აღარ ფიქრობს, ტურისტებს რას ვახვედრებთ დასათვალიერებლად. გარდა ეკლესია-მონასტრებისა, ჩვენი ქვეყნის უდიდესი სიმდიდრე ბუნებაა მისი ბიომრავალფეროვნებით. ტურისტს ხომ სწორედ ჩვენი ხელუხლებელი ტყეები, ბუნებრივი მდინარეები და ჩანჩქერები მოხიბლავს და არა გავერანებული სანახები. ვფიქრობ, ამაზე ღირს დაფიქრება. ყველაზე მეტად დასაფიქრებელი კი ის გახლავთ, რომ ჩვენს ქვეყანაში, სადაც წყალდიდობები და, ამის შედეგად, სავარგულების დანაკარგი ხშირია, ტყეებს უნდა ვაშენებდეთ და არა პირიქით. ექსპერტების აზრით, ყოველწლიურად წყალდიდობების შედეგად ქვეყნის ეკოლოგიური ზარალი ასი ათასობით დოლარს შეადგენს და მდგომარეობის კიდევ უფრო მეტად გაუარესება ქვეყანას კატასტროფის წინაშე დააყენებს.

წინაპრებმა დაგვიტოვეს ეს სიმდიდრე და ჩვენ ნუ გავაჩანაგებთ. ტყე შეუნახე შვილებსა, მამა ხარ, შენი ვალიაო, რომ ვმღეროდით არცთუ დიდი ხნის წინათ, ვითომ მცდარ აზრს ვადექით? ხოლო თუ მაშინ სწორი იყო (არადა, ასპროცენტიანი ხალასი სიმართლე რომ გახლდათ, ბენდუქიძისნაირთა გარდა ყველა დამეთანხმება), ახლა რა შეიცვალა?

მაშ, აღვასრულოთ ჩვენი ვალი!

ლალი ძინძლაძე

◎ SOS!

წითელი იმპერია, როგორც იქნა, დავამხეთ და ახლა წითელი მგლები გვიშროვენ სისხლს!

ბორჯომისა და ახალციხის რაიონებში მსხვილფეხა რქიან საქონელს ცოფი გაუჩნდა. თავდაპირველად ხალხი ისე დაიბნა, იყო თუ არა ავად პირუტყვი, მაინც ერთიანად დახოცეს. ინფორმაციის მიღებისთანავე სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულმა სამსახურმა სიტუაციის შესწავლისა და სათანადო დახმარების გასაწევად დასახელებულ რაიონებში ექიმ-ვეტერინართა გამოცდილი ბრიგადები გაგზავნა. ვეტერინარებმა ცოფის საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელება იმავე დღეს დაიწყეს.

ბორჯომის რაიონის სოფელი ტაბაწყური დღემდე ჯილეხის მიმართ არაკეთილსაიმედოდ ითვლებოდა, დღევანდელი მდგომარეობით იგი ცოფის მხრივაც არაკეთილსაიმედო აღმოჩნდა. ეროვნულმა სამსახურმა ეპიდემიოლოგიური კვლევის შედეგად დაადგინა, რომ სოფელში 16 სული ცხვარია დაკბენილი, ხოლო ახლო მიდამოებში 18 ძაღლი მოკვდა. საბედნიეროდ, ავადმყოფ ძაღლებს ხალხი არ დაუკბენია. დახოცილ პირუტყვთან კონტაქტი ჰქონდა 12 კაცს. სათანადო ზომების მისაღებად მათი სია ჯანდაცვის სამსახურს გადაეცა. ეროვნული სამსახურის წარგზავნილმა სპეციალისტებმა ბორჯომის, ახალციხისა და ახალქალაქის რაიონული სამსახურებისა და მობილური ჯგუფების წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერეს ინფექციის კერა, დაავადებული ცხოველები დახოცეს და სოფლიდან სამი კილომეტრის დაშორებით სამი მეტრი სიღრმის ორმოში ჩამარხეს. როგორც სამარხს, ასევე ინფექციის კერას ჩაუტარეს დეზინფექცია, სოფელს დაუწესდა შეზღუდული ღონისძიებების განხორციელება — ორი თვის განმავლობაში მათ ეკრძალებათ პირუტყვის გაყვანა, ხოლო მისგან მიღებული პროდუქტი გამოიყენება შერჩევითა და შეზღუდვით. ამ სოფელში ვეტერინარებმა 2891 სული შინაური ცხოველი აცრეს უფასოდ.

ტაბაწყურთან შედარებით, სოფელ აწყურში ინფექციის გავრცელების უფრო ფართო არეალი შეინიშნებოდა.

აქაც, ისევე როგორც ტაბაწყურში, სრული ვეტერინარული წესების დაცვით მოხდა კერის დათვალიერება, დეზინფექციის ჩატარება, აიცრა ორი ათასამდე სული საქონელი.

როგორც ბორჯომის რაიონის სოფელ ტაბაწყურის მცხოვრებმა ჩემთან საუბარში აღნიშნა, მათ სოფელში ცოფის ინფექციის გავრცელების სავარაუდო წყარო ეგრეთ წოდებული „წითელი მგლებია“. ისინი რამდენიმე წლის წინათ ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკში სპეციალურად ჩამოუყვანიათ ამერიკიდან. მგლების ეს პოპულაცია შედარებით სწრაფად ვრცელდება და ადგილობრივი ჯიშის მგლებსაც უწევსო კონკურენციას. მისივე თქმით, წითელი მგლები ძალიან აგრესიულები არიან, არ ეპუებიან მოსახლეობას, ხშირად ესხმიან თავს ძაღლებს, შინაურ პირუტყვს. მოსახლეობა მათი შიშით თურმე საღამოს შინიდან ვერ გამოდის.

ნაზი იმნაიშვილი

◎ ინფორმაცია

მიაწყდებიან ტურისტები აფხაზეთს?

კავკასიის შავიზღვისპირეთში საკურორტო სეზონის დაწყებამდე სულ ცოტა დრო რჩება. რუსი ექსპერტების აზრით, მიუხედავად პოლიტიკურად არასტაბილური ვითარებისა წელსაც, რუსეთის დამსვენებელთათვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოთხოვნილება სწორედ აფხაზეთზე იქნება.

„სეპარატისტულ აფხაზეთში მოქმედი ტურისტული კომპანიის „რიწა-ტურის“ გენერალური დირექტორი ელენა ლოლუა აცხადებს, რომ „თუ ამჟამად უკვე არსებულ ჯავშანს წინა წლების ანალოგიურ პერიოდისას შევადარებთ, აშკარაა, რომ იგი გაზრდილია. რუსეთისა და უცხოეთის მრავალ მოქალაქეს აფხაზეთში დასასვენებლად ადგილები უკვე წინასწარ დაჯავშნული აქვთ“.

მისივე ინფორმაციით, წლევანდელ ტურისტულ სეზონზე, კერძო სექტორში არსებულ მოსასვენებელ ადგილებთან ერთად მრავალი, ახლადაშენებული მინი-სასტუმროც იმუშავებს.

აფხაზეთში პირველ ტურისტულ ნაკადს 10 ივნისიდან ელოდებიან. ტურისტული კომპანია „როზა ვერტოვის“ რუსეთის დეპარტამენტის უფროსი ტატიანა რუმიანცევას გათვლებით, ამ პერიოდისათვის აფხაზეთის სასტუმროს ადგილთა 80 % უკვე შევსებული იქნება.

ინტერპრესნიუსი

დისკუსია

● ისევე როგორც შეუძლებელია ფაშიზმზე საუბარი ჰიტლერის და მუსოლინის, ბოლშევიზმზე კი ლენინისა და სტალინის ფიგურების გარეშე, ასევე პირდაპირ კავშირშია „გარდაქმნის“ იდეა მ. გორბაჩოვის პიროვნებასთან, „გარდაქმნისა“, რომელმაც რეალურად დაასრულა საბჭოთა იმპერიის დაშლის ისტორიული პროცესი

◎ რა გზა გამოვიარეთ

ცივილიზებული საზოგადოების იდეოლოგია ცოდნას და თანამედროვე ინფორმაციული ნოვაციების ეფექტურ გამოყენებას ემყარება. საქართველო უდიდესი ისტორიული ცვლილებების უშუალო მონაწილეა, რაც განსაზღვრავს მისი განვითარების სისტემური ასახვის და ერთიანი კონცეპტუალური პოზიციის ჩამოყალიბების აუცილებლობას. ამიტომ მისასალმებელია „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის ინიციატივა, ყველა დაინტერესებულ პირს საშუალება მისცეს გამოთქვას თავისი მოსაზრებები ბოლო ოცი წლის მანძილზე საქართველოს ცხოვრებაში მომხდარი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური საკითხების შესახებ. აუცილებლად მიგვაჩნია მომავალ თაობას სრულყოფილი წარმოდგენა ჰქონდეს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, იმ ფაქტორებზე, რომლებმაც 90-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა იმპერიის დემონტაჟი გამოიწვია. მისასალმებელია რედაქციის პოზიცია იმ საკითხშიც, რომ გაზეთის ფურცლები დაუთმოს არა მხოლოდ მეცნიერ-ეკონომისტებს, არამედ ამ პროცესებში უშუალოდ მონაწილე პიროვნებებს, იმდროინდელ კვალიფიციურ კადრებს, თუ პარტიულ მუშაკებს. ამდენად, ვეხმაურებით რა ბ-ნ ამირან გაბისონიას სტატიას „ფარული ნოსტალგია საბჭოთა საქართველოზე“, მადლობას მოვახსენებთ მას ამ ინიციატივისათვის და იმედს გამოვთქვამთ, რომ ამგვარი გამოხმაურებები მომავალში უფრო საძმიანი და კონსტრუქციული იქნება.

წერილის ავტორი შენიშვნას გამოთქვამს ჩვენი სტატიის დიდი მოცულობის გამო, თუმცა, ვფიქრობთ, რომ საკითხის მასშტაბურობა და დიდი საანალიზო პერიოდი ნაკლებად ტოვებს მასალის უფრო ლაკონურად გადმოცემის საშუალებას.

ჩვენი სტატია მიზნად ისახავდა საზოგადოების ფართო მასების, მ. შ. ახალგაზრდა თაობის ინფორმირებას საქართველოს ეკონომიკის შესახებ 1985-1990 წლებში, რაც ე.წ. „გარდაქმნის პერიოდით“ არის ცნობილი და რომელმაც ყოფილ საბჭოთა კავშირში „უძრაობის ხანა“ შეცვალა, რითაც იგი, თავისთავად, წარმოადგენდა პროგრესულ მოვლენას ქვეყანაში ლიბერალური ეკონომიკის და დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების, ეკონომიკური კარჩაკეტილობის დაძლევის საქმეში. იზრდებოდა საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტის ინტერესი საბჭოთა კავშირში მიმდინარე პროცესებისადმი. სტატიის მიზანი არ იყო აღნიშნული საკითხების პოლიტიკური და იდეოლოგიური ასპექტის შეფასება, იგი ემსახურება ეკონომიკური სიტუაციის ანალიზს და საზოგადოებისათვის მაქსიმალური ინფორმაციის მიწოდებას, რადგანაც ეკონომიკა განსაკუთრებული სამყაროა, არაორდინარული ფენომენია თავისი კანონებით და პრინციპებით, დრამატიზმით და წინააღმდეგობებით. საანალიზო პერიოდი ხასიათდებოდა ეკონომიკური ქაოსით, სტრატეგიული გეგმის უქონლობით, გაუთვითცნობიერებულობით, მძიმე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ფონით, ქრონიკული ჩამორჩენილობით, სტრუქტურული და ინსტიტუციონალური დეფორმაციებით, კორუფციის და ჩრდილოვანი ეკონომიკის არნახული დონით, ყოველივე ეს ეკონომიკურ სისტემასთან ერთად ანგრევდა სულიერებას და სახელმწიფოებრიობას.

ხელისუფლებას უნდა ახასიათებდეს დემოკრატიულობა (ზომიერი), პროფესიონალიზმი და ეროვნული თვითშეგნება. 80-იან წლებში სრული სიმწვავით გამომჟღავნდა ეროვნული თვითშეგნების გაძლიერების და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების სურვილი. საბჭოთა კავშირს შესაძლებლობა რჩებოდა გადაერჩინა გარკვეული დროით თავისი თავი ერთა თვითმყოფადობის შენარჩუნების პირობებში ზომიერი ინტეგრაციის განხორციელების გზით, მაგრამ იგი არ იყო დამოუკიდებელი ქვეყნის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრაში, სწორედ მ. გორბაჩოვის ხელისუფლების დროს მოხდა „გარდაქმნის“ დასავლური იდეის საბჭოთა წიაღში გენერირება, რასაც ხელისუფლების არაადეკვატური რეაქციის შედეგად თავისუფალი საბაზრო სისტემის ტოტალიტარულ საბჭოთა წყობაზე გამარჯვება მოჰყვა. 90-იან წლებში პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას თან ახლდა ეროვნულ ეკონომიკაში საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების პროცესი, გამოიკვეთა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ორი კონცეფცია: 1) პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვება და საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრება; 2) საბჭოთა იმპერიის ჩარჩოებში დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა და საბჭოთა ეკონომიკის საბაზრო პრინციპებზე ევოლუციური გადასვლა. ორივე მიდგომა მიზნად ისახავდა სახელმწიფოებრივი საკუთრების კერძო საკუთრებით და ცენტრალიზებული დაგეგმვის თვითრეგულირებადი თავისუფალი საბაზრო ურთიერთობებით შეცვლას. ტრანსფორმაციის მეორე ფორმა ჩინურ ეკონომიკაში განხორციელდა და შედეგად ე.წ. „ჩინური რევოლუცია“ მოიტანა — უმძიმესი კატაკლიზმების გარეშე და გარდაქმნის ევილუციური ხაზით.

ბ-ნი ა. გაბისონიასთვის განვითარების ეს გზა, როგორც ჩანს, მიუღებელია, რამეთუ მიაჩნია, რომ „ჩვენდა საბედნიეროდ“ საბჭოთა კავშირმა უპირატესობა გარდაქმნის „შოკურ“ ვარიანტს მიანიჭა, რამაც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოუტანა, მაგრამ ძალიან მძიმე ეკონომიკური დანაკარგების ფასად. განსხვავებული შეხედულება არც ჩვენ გაგვაჩნია, ვთვლით, რომ სახელმწიფოებრიობა, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკურ დამოუკიდებლობას გულისხმობს, რაც არ უნდა ძვირი იყოს თავისუფლების ფასი. სწორედ დამოუკიდებლობა, და არა იზოლირება, არის მომავალი განვითარების მძლავრი სტიმული და გარდაუვალი ფაქტორი. ამ, ერთი შეხედვით, უალტერნატივო მოსაზრების იგნორირებამ მისცა საკმაოდ მძლავრი ბიძგი 90-იანი წლების დამანგრეველ პროცესებს.

ბ-ნი ა. გაბისონიას მოსაზრებით, 90-იან წლებში დეგრადაცია არ შეხებია ერთადერთ სფეროს — საბჭოთა სამხედრო კომპლექსს. ეს რეალობაა და ემყარება ინდუსტრიული საზოგადოების განვითარების ძირითად პრინციპს — ორი საზოგადოებრივი სისტემის თანაარსებობას სამხედრო პარიტეტის გზით. სამხედრო უპირატესობის მოპოვებისათვის ბრძოლა განვითარების მძლავრი ფაქტორი იყო XX საუკუნის მთელი ცივილიზებული სამყაროსათვის. „ცივი ომის“ დასრულებით დამთავრდა ეკონომიკური და სოციალური პროგრესის მნიშვნელოვანი მოტივაცია, რამაც ჰარმონიული თანაარსებობა შემდეგში პოლიტიკურ რყევებში და თანაბარზომიერ ძალთა დეფორმირებაში გადაიყვანა, მომზადდა პირობები მაღალგანვითარებული სახელმწიფოების პოსტინდუსტრიულ სტადიაზე გადასვლისათვის, ნეოეკონომიკური ურთიერთობების და ახალი ცივილიზაციის დამკვიდრებისათვის. ინტელექტუალური პოტენციალის არასამხედრო ორიენტაციამ დააჩქარა საბჭოთა ხელისუფლების შესუსტება, მისი მსოფლიო როლის დაქვეითება და საბოლოოდ, ამ იმპერიის პოლიტიკური განადგურება გამოიწვია.

ამრიგად, პოლიტიკოსის და პოლიტიკური პროცესების ერთმანეთისაგან გამიჯვნა ამცირებს ამ პროცესების ობიექტური შეფასების საშუალებას. მ. გორბაჩოვი იყო არა გადამწყვეტი, მაგრამ ძალიან ძლიერი ფაქტორი დასავლეთის სახელმწიფოებისათვის საბჭოთა კავშირის მიმართ მათი ინტერესების რეალიზაციის საკითხში. ისევე როგორც შეუძლებელია ფაშიზმზე საუბარი ჰიტლერის და მუსოლინის, ბოლშევიზმზე კი ლენინისა და სტალინის ფიგურების გარეშე, ასევე პირდაპირ კავშირშია „გარდაქმნის“ იდეა მ. გორბაჩოვის პიროვნებასთან, „გარდაქმნისა“, რომელმაც რეალურად დაასრულა საბჭოთა იმპერიის დაშლის ისტორიული პროცესი.

ვერ დავეთანხმებით ბ-ნ ა. გაბისონიას მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ინფორმაცია საბჭოთა კავშირის ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების შესახებ ყალბი და მოჩვენებითი იყო, ისევე როგორც „არსებითდ მოჩვენებითობად და სიყალბედ შეიძლება მივიჩნიოთ საბჭოთა წლებში საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გზა“. ვთვლით, რომ ამგვარი რადიკალიზმი ჩრდილავს ობიექტურ სურათს, ოფიციალური ინფორმაციის სრული იგნორირება და მისი წარმოჩენა ბოლომდე ყალბ ინფორმაციად არ არის მართებული. საბჭოთა ეკონომიკური ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყო საერთაშორისო ეკონომიკური წრეებისათვის, მის საფუძველზე ბოდა არა მხოლოდ ქვეყნის მაკროეკონომიკური ანალიზი, არამედ საერთაშორისო დონეზე ეკონომიკური განვითარების ტენდენციების და დონეების შეფასება. მით უმეტეს, ბატონი ამირანი არის ყოფილი საგეგმო კომიტეტის წამყვანი მუშაკი და, როგორც ჩანს, სწორედ საბჭოთა ეკონომიკის განვითარების ანალიზისა და ციფრობრივი პარამეტრების გაანგარიშებისათვის მიიღო მან „დამსახურებული ეკონომისტის“ საპატიო წოდება. ნონსენსია, როცა პიროვნება საყვედურს გამოთქვამს იმ ციფრების მოშველიებისთვის, რომელთა შემოქმედიც თვითონ იყო და რომლის გამო საპატიო წოდების მინიჭებით იწონებს თავს საკუთარი რეგალიების მითითებისას. ბ-ნ ამირანი მართლაც უაღრესად დამსახურებული და ძველი თაობის ეკონომისტთა წრეში ცნობილი პიროვნებაა, მით უმეტეს გაკვირვებას იწვევს მისი მხრიდან საბჭოთა ეკონომიკის საინფორმაციო ბაზის ამგვარი სრული უარყოფა. ეკონომიკა, ისევე როგორც მეცნიერული კატეგორიები, ფორმისა და შინაარსის ფილოსოფიური ერთობაა; შინაარსი ეს თეორიაა, ეს მეცნიერული კვლევაა, ფორმა კი — ციფრებში გადმოცემული შინაარსი, მათი დიალექტიკური ერთობა რეალობის ასახვას და მომავალ პროგრესს ემსახურება.

ბ-ნი ა. გაბისონია გულისტკივილს გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოს „წერილი პირთამდე სავსეა ძველი, დღეისათვის უკვე არაფრისმთქმელი საზომებით (პროცენტი, მანეთი, ტონა)“. შევნიშნავთ, რომ ციფრი სიზუსტის ინსტრუმენტია, მათი რაოდენობა კი წერილის მიზნიდან გამომდინარეობს, ამასთან, როგორც ჩანს, ხანდაზმული ადამიანი მართლაც დაღალა ვრცელი მასალის კითხვამ და საკმაოდ ზერელედ მოეკიდა მას, წინააღმდეგ შემთხვევაში, აუცილებლად შენიშნავდა ციფრების მინიმალურ რაოდენობას, რაც ჩვენი მეცნიერული მიდგომების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია. ამასთან დავძენ, რომ ზომის აღნიშნული ერთეულები სრულებით არ არის ძველი, ისინი ამჟამადაც მოქმედებენ (რამდენადაც საკვირველი არ უნდა იყოს ბატონი ამირანისთვის) და საქართველოში მათ მთელი სახელმწიფო ინსტიტუტები, კერძოდ, მეტროლოგიის დეპარტამენტი ემსახურება.

ანალიზის ცდა

ვინც ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გაშლილ დისკუსიას თვალყურს ადევნებს, შეამჩნევდა, რომ ყველა ავტორს მიეცა თავისი რადიკალური პოზიციისა თუ კერძო მოსაზრების გამოთქმის საშუალება. ცხადია, ასე იქნება კვლავაც. მკითხველმა უთუოდ ისიც შეამჩნია, რომ ერთ-ერთი ბოლო პუბლიკაცია თითქმის მთლიანად დაეთმო ე.წ. საბჭოთა „გარდაქმნის“ ეკონომიკური პროცესების პოლიტიკური გარემოსა და განმსაზღვრელი ფაქტორების ანალიზს. აღნიშნულ სტატიას (20.04.07 წ.) მოჰყვა საპირისპირო, საკმაოდ მწვავე მოსაზრებებით სავსე პუბლიკაცია (27.04.07 წ.), რომელსაც დღეს უპასუხებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი მარინე ტაბატაძე.

დისკუსია გრძელდება.

გიწვევთ საშოგლოს გედზე მოფიქრალ ყველა მოაზროვნე ადამიანს

ჩვენი უახლოესი უტყუარი წარსული: წლები, მოვლენები, ადამიანები

დისკუსიის თემაა: „საქართველო 1985-2003 წლებში“

დისკუსია

არ შემიძლია დავეთანხმო ბ-ნ ა. გაბისონიას იმ მოსაზრებას, რომ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მთელი გზა არსებითად მოჩვენებითი და სიყალბე იყო. რეალურად საქართველოს ეკონომიკა იყო საბჭოთა ეკონომიკის ორგანული, საკმაოდ აქტიური და ფუნქციურად მნიშვნელოვანი ნაწილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

◎ რა გზა გამოვიარეთ

ბ-ნი ა. გაბისონია შენიშვნას გამოთქვამს წერილის ბოლო ფრაზის გამო. იგი ცეკას მდივნის მოხსენებას აგონებს თურმე მას. შევნიშნავთ, რომ საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით საქმიანი წერილის ერთ-ერთი რეკვიზიტი დასკვნითი ფრაზაა, ის ფორმით უნდა განსხვავდებოდეს ძირითადი ტექსტისაგან და უნდა ახდენდეს მისი იდეის გენერირებას. ამ თვალსაზრისით მიგვაჩნია, რომ ამგვარი შენიშვნა უაღრესად ტენდენციურია და გამოხატავს ოპონენტის სუბიექტურ შეხედულებას. ჩვენს ოპონენტს ჩვენი სტატიის სათაურიც არ მოსწონებია, ესეც პირადულია და, ალბათ, კამათის საგანიც არ უნდა გახდეს, მ/ფ „ცისფერი მთების“ ერთ-ერთი გმირის რეპლიკის არ იყოს, – „რატომ, მე მომწონს სათაური“. რაც შეეხება საპასუხო წერილის სათაურს, თუნდაც ასაკიდან გამომდინარე, ძნელად თუ გვექნებოდა განსაკუთრებული ნოსტალგია საბჭოთა სისტემის და იმ „ბედნიერი“ ხანის მიმართ, თუმცა ეს არ გვაძლევს უფლებას, არაობიექტურები ვიყოთ საბჭოთა პერიოდის ეკონომიკური სისტემის შეფასების დროს, მაამებლობა და თავის გამოჩენის მეთოდი მხოლოდ „ნეოეკონომიკური ყვარყვარიზმია“ და არაფერი აქვს საერთო ობიექტურ, ჭეშმარიტად მეცნიერულ ანალიზთან.

ჩვენი სტატია არც პანეგირიკია და არც მონატრება საბჭოთა სისტემისა, იგი არის იმ პერიოდში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის კონსტატირების მეცნიერული ცდა. სწორედ საპასუხო წერილისათვის არის დამახასიათებელი კომუნისტურ-ნომენკლატურული ცრუ პათოსი.

ადამიანის ყველაზე ღრმა მისწრაფება არის სურვილი – იყოს მნიშვნელოვანი, ანუ გააჩნდეს საკუთარი მნიშვნელობის შეგნება. სწორედ საკუთარი ღირსების აღიარებისაკენ სწრაფვა უდევს საფუძვლად ცივილიზაციის განვითარებას და, როგორც ჩანს, ჩვენი ოპონენტის ინიციატივასაც. როგორც წესი, ადამიანი არ ცხოვრობს თავისი შესაძლებლობების შესაბამისად, მასში ხშირად დაფარული და იგნორირებულია მრავალი უნარი, ადამიანს საშუალება უნდა მიეცეს გამოავლინოს ისინი, მას უნდა ჰქონდეს იმის რწმენა, რომ მის საქმეს მუდამ სასურველი შედეგი მოჰყვება საკუთარი თავისა და მთლიანად საზოგადოებისათვის. დეილ კარნეგი აღნიშნავდა, „ბედნიერების მისაღწევად უნდა ისწავლო საკუთარი აზრის მართვა და პარტნიორის აზრის პატივისცემა, მოწინააღმდეგის აზრის თანაგრძნობა და საკუთარ შეხედულებებზე მისი გადაყვანის უნარი“. ბ-ნ ა. გაბისონიას შევახსენებთ, რომ სწორედ დარწმუნების ხელოვნება არის ადამიანებთან დიპლომატიის მწვერვალი, რისი უნარის ქონაც მეცნიერული კვლევების წარმატების გარანტიაა.

რაც შეეხება საბჭოთა ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურას და გიგანტური საწარმოების მშენებლობას, ისევ შენიშვნას მივცემთ ჩვენს ოპონენტს ჩვენი სტატიის ზერელე გაცნობის გამო, მასში სწორედ ამ საკითხზეა აქცენტირებული ხაზგასმა, მიგვაჩნია, რომ სტრუქტურული დეფორმაციები გახდა საბჭოთა ეკონომიკის ღრმა კრიზისის არსებითი, ძლიერი წინაპირობა, რამდენადაც ეკონომიკა და პოლიტიკა საზოგადოებრივი სისტემის ძირითადი რგოლებია, ისინი ურთიერთკავშირში და ურთიერთგანპირობებულობაში იმყოფებიან. ძნელია მსჯელობა მათი პირველობის და მეორადობის შესახებ, ფაქტია, ორივე მხარე არსებითად განსაზღვრავს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მდგომარეობას, განვითარების კანონზომიერებებს და მომავალს.

ეკონომიკური საქმიანობა არა მხოლოდ ადამიანთა ურთიერთობის გამოვლენის და საზოგადოებრივი კეთილდღეობის უზრუნველყოფის საფუძველია, არამედ იგი არის კულტურული განვითარების, მისი ეროვნული ცნობიერების განმსაზღვრელიც. „გარდაქმნა“ აშკარად დასავლეთიდან თავსმოხვეული, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის იდეალიზებული მცდელობა იყო, იგი საბაზრო ეკონომიკის გარკვეულწილად გაფეტიშებას, მისი პრინციპების უნიფიცირებას ემყარებოდა, რითაც დაჩქარდა ეკონომიკის გარდაქმნის არა გრადუალისტური ტენდენცია, არამედ ეკონომიკური პროცესების სტიქიური განვითარება, ეკონომიკის მაკოორდინირებელი მექანიზმების კრიზისი, მაკროეკონომიკური წონასწორობების რღვევა. ეს პროცესები საკმაოდ ადრე, ჯერ კიდევ მოჩვენებითად ძლიერ საბჭოთა ეკონომიკურ წიაღში მიმდინარეობდა. ხელისუფლებამ ობიექტურად ვერ შეაფასა საკუთარი როლი „გარდაქმნის“ ისტორიულ მომენტში. სწორედ ხელისუფლების არაკომპეტენტურობა, სიახლეთა არასწორი აღქმა, გადაჭარბებული თვითდაჯერება, საზოგადოებრივი ცნობიერების იგნორირება, მშრალ პროპაგანდაზე დამყარებული იმ დროისათვის უტოპიური საბაზრო თეორია ეკონომიკური პროცესების უმართაობის და „გარდაქმნის“ მიზნების არარეალიზების წინაპირობა გახდა. აშკარა იყო ხელისუფლების მოუმზადებლობა რადიკალური ცვლილებებისათვის და შემუშავებული სიახლეების უკმარისობა უკვე ღრმად წასული კრიზისის დაძლევის საქმეში.

საბჭოთა ეკონომიკა დაუბალანსებელი, დეფიციტური ეკონომიკური სისტემა იყო. გელბრეიტის სიტყვებით – „სოციალიზმი ქმნის ბევრ საქონელს და ცოტა ფულს, კაპიტალიზმი კი, პირიქით, – ბევრ ფულს და ცოტა საქონელს“ – საბჭოთა ეკონომიკაში წარმატების ერთადერთი არადეფიციტური ფაქტორი შრომა იყო და მასაც პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა. პოლიტიკური იდეოლოგია დომინირებდა განვითარების ობიექტურ, ეკონომიკურ კანონზომიერებებზეც, რაც საბჭოთა ეკონომიკის შედარებით დაბალ ეფექტიანობას და ცხოვრების დაბალ დონეს განაპირობებდა. სიღარიბე საზოგადოების განვითარების მნიშვნელოვანი ინდიკატორია, ამიტომ მისი შეფასება და ამ საკითხებით საზოგადოების ინფორმირება თვით ამ საზოგადოების ცივილიზებულობის და დემოკრატიის დონის არსებითი მახასიათებელია. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა საბაზრო ეკონომიკის ცნობილი სპეციალისტის ჰენრი ფორდის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საბჭოთა ეკონომიკას მუდამ ჰქონდა საქონლის უკმარისობა და არასოდეს ჭარბწარმოება (დირექტიული ეკონომიკის დეფიციტური ბუნება).



„გარდაქმნის“ შესახებ

არ შემიძლია დავეთანხმო ბ-ნ ა. გაბისონიას იმ მოსაზრებას, რომ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მთელი გზა არსებითად მოჩვენებითი და სიყალბე იყო. რეალურად საქართველოს ეკონომიკა იყო საბჭოთა ეკონომიკის ორგანული, საკმაოდ აქტიური და ფუნქციურად მნიშვნელოვანი ნაწილი, იგი ჩართული იყო საკავშირო დარგობრივი სპეციალიზაციისა და კოოპერირების პროცესში, შეჰქონდა რა საკმაოდ ღირებული წვლილი ერთიან ეკონომიკურ პოტენციალში, ამასთან იღებდა მნიშვნელოვან რესურსებს, რაც ხმარდებოდა ეროვნული ეკონომიკის განვითარებას, საყოველთაო დასაქმების უზრუნველყოფას და ამით, პირდაპირი გზით განაპირობებდა მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას. მაგალითად, მსუბუქი მრეწველობის ნედლეულის 90% უსასყიდლოდ შემოდიოდა საკავშირო მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სისტემიდან, მზა პროდუქციის სრული რეალიზაციაც ასევე ცენტრალიზებული წესით იყო გარანტირებული.

მიგვაჩნია, რომ ერთ საგაზეთო სტატიაში შეუძლებელია მთელი საბჭოთა ეკონომიკური სისტემის ანალიტიკური შეფასება, მათ შორის არც გიგანტურ საწარმოებზე გაგვიკეთებია აქცენტი, რამდენადაც მათი შექმნა ჩვენს საანალიზო პერიოდს კი არა, 30-40 წლით ადრინდელ პერიოდს უკავშირდება. შევნიშავთ, რომ საწარმოო ძალთა განლაგების ობიექტური ეკონომიკური კანონების საპირისპიროდ, „გიგანტები“ შენდებოდნენ მცირე რესპუბლიკებში, სწორედ ისინი განსაზღვრავდნენ საქართველოს ეკონომიკურ პროფილს, ქმნიდნენ საბიუჯეტო შემოსავლების აბსოლუტურად გადამწყვეტ ნაწილს, უზრუნველყოფდნენ მოსახლეობის ცხოვრების მაღალ დონეს. რაც შეეხება საწარმოთა განლაგების საკავშირო პოლიტიკას, იგი, ბუნებრივია, გამომდინარეობდა საბჭოთა კავშირის ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკიდან, რაც ითვალისწინებდა საწარმოო ძალთა კომპლექსურ, თანაბარზომიერ განლაგებას, პოლიტიკური ნიშნით კი იგი უზრუნველყოფდა რესპუბლიკების ურთიერთდამოკიდებულებას, ე.ი ავტონომიურად ფუნქციონირების უუნარობას. მაგრამ, ინტეგრაციული პოლიტიკის მომხრეებს მხედველობიდან რჩებოდათ წარმოებისა და მოხმარების დაბალანსების აუცილებლობაც, სწორედ ამ მხარეების დაუბალანსებლობა გახდა ის ნაღმი, რომელმაც საბოლოო ჯამში შიგნიდან დაანგრია საბჭოთა კავშირი.

ვთვლით, რომ ბ-ნი ა. გაბისონიაც იზიარებს ამ მოსაზრებას, თუმცა განცვიფრებას იწვევს ის რადიკალიზმი, რომლითაც იგი უპირისპირდება ყოველივე საბჭოურს, მათ შორის მსხვილ საწარმოებსაც. არსებობს საპირისპირო აზრიც იმის თაობაზე, რომ მათი შექმნა საქართველოში იყო 50-იანი წლების საბჭოთა ხელისუფალთა „საჩუქარი“ ჩვენი ქვეყნისადმი, რამდენადაც სწორედ, გიგანტური საწარმოები უზრუნველყოფდნენ რესპუბლიკის ეკონომიკურ აღმავლობას.

დაბოლოს, ბ-ნი ა. გაბისონია უდავოდ განსწავლული პიროვნებაა. მას მშვენივრად შეურჩევია თავისი წერილისათვის დიდი ილიას სიტყვები: „მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი“..., სამწუხაროა, თუკი ჩვენმა სტატიამ მას ასეთი შთაბეჭდილება შეუქმნა. საბჭოთა კავშირის დაშლა ჩვენთვის დარდის საგანი არასოდეს ყოფილა, მით უმეტეს „პარტკრებებზე“ ტაშისკვრით ჩვენ კი არა, სწორედ მისი თაობა იწონებდა თავს პარტიული ნომენკლატურის წინაშე, „დამსახურებულის“ წოდებებსაც უანგარო სამსახურისათვის საზეიმოდ სწორედ ისინი ილებდნენ და მომავალსაც ოპტიმიზმით უყურებდნენ. მე კი, ამ პიროვნებისადმი ღრმა პატივისცემის ნიშნად, ასევე დიდი ილიას სიტყვებს მოვიშველიებ – „ხმალი მაშინ არის კარგი, როცა იგი ფარია და არა მახვილი“, უნდა ვიცოდეთ, რა დროს და რა მიზნით მოვიძნიოთ იგი.

მარინე ტაბატაძე,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

დისკუსიას უძღვებიან ისტორიკოსი ვახტანგ გურული, პოლიტოლოგი მალხაზ მაცაბერიძე და ჟურნალისტი გურამ გოგიაშვილი.

№ 89. პარასკევი. 11 მაისი. 2007 წელი.

შპს „საქართველოს რკინიგზა“ აცხადებს კონკურსს

შპს „საქართველოს რკინიგზის“ ბალანსზე რიცხული ქ. თბილისში, გორის ქ№34-ში მდებარე შენობა-ნაგებობების (საწყობები), მათზე დამაგრებულ მიწასთან ერთად (შემდგომში „საიჯარო ქონება“) კონკურსის ფორმით იჯარით გაცემის მიზნით

1. ძირითადი საინფორმაციო მონაცემები

• **ქონების იურიდიული მისამართი** – ქ. თბილისი, გორის ქ.№34

• **საიჯარო ქონების დახასიათება:** შენობა-ნაგებობების საერთო ფართია 2842კვ.მ (მათ შორის: საწყობი №1,2 ფართით 1172კვ.მ, დახურული, მავთულ-ბადით შემოღობილი საწყობი ფართით 560კვ.მ და ბაქანი ფართით 1110კვ.მ), შენობა-ნაგებობებზე დამაგრებულია 5231,76 კვ.მ. მიწის ფართი

• **საწყისი თვიური საიჯარო ქირა –35 000** ლარი, დღგ-ს ჩათვლით.

• **„ბე“** – 35 0000 ლარი.

• **იჯარის ვადა – 3** წელი.

• **განაცხადების მიღების ადგილი** – ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციული შენობა, მე-4 სართული, ტელ.: 56-33-48.

• **განაცხადების მიღების ვადა** –2007 წლის 11 მაისიდან 2007 წლის 30 მაისამდე, კონკურსის ჩატარების დღემდე 10.00 საათიდან 18.00 საათამდე.

• **კონკურსის ჩატარების თარიღი, ადგილი და დრო** – 2007 წლის 31 მაისი, ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციული შენობა, 15.00 საათი. იმ შემთხვევაში, როდესაც კონკურსის ჩატარების დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, 12.00 საათზე, ხოლო კონკურსი ჩატარდება ამავე დღის 15.00 საათზე

• **შპს „საქართველოს რკინიგზის“ საბანკო რეკვიზიტები** – სს „გაერთიანებული ქართული ბანკის“ ფილიალი №3, ანგარიშსწორების ანგარიში №5553407, კოდი 220101665, საიდენტიფიკაციო კოდი 202886010.

• **კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ** – საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

2. კონკურსის პირობები

• საწყისი საიჯარო ქირა წელიწადში შეადგენს 420 000 ლარს (დღგ-ს ჩათვლით). საიჯარო ქირა გადაიხდება ყოველთვიურად (თვეში 35 000 ლარი, დღგ-ს ჩათვლით). მეიჯარის მოთხოვნით საიჯარო ქირა გადაიხედება ყოველ 2 წელიწადში ერთხელ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანოს მიერ დადგენილი ეროვნული სამომხმარებლო ფასების ინდექსის მიხედვით, რისთვისაც ბაზისად აღებული იქნება 2007 წლის იანვრის თვის მაჩვენებელი.

• მოიჯარე ვალდებულია შეინარჩუნოს საიჯარო ქონების პროფილი.

• მოიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს იჯარით აღებული ქონების მოვლა-პატრონობა, ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოების და სანიტარიული ნორმების დაცვა.

• კომუნალურ გადასახადებსა და საიჯარო ქონების დაცვის ხარჯებს იხდის მოიჯარე.

• მესაკუთრე წინასწარ უცხადებს თანხმობას მოიჯარეს მასზედ, რომ მან იჯარის ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში სარგებლობის ნებისმიერი მიზნით, ქვეიჯარით გასცეს იჯარით დატვირთული ქონების სხვადასხვა ნაწილი. იმ პირობით, რომ ასეთი ქვეიჯარა პირდაპირ და/ან არაპირდაპირ არ შეზღუდავს ან სხვა რაიმე მავნე ზემოქმედებას არ მოახდენს საიჯარო ქონების ნორმალურ ფუნქციონირებაზე.

• მოიჯარეს ეკრძალება გამოიყენოს საიჯარო ქონება კრედიტის უზრუნველყოფის მიზნით ან სხვაგვარად უფლებრივად დატვირთოს იგი.

• იჯარის ვადის გასვლის შემდეგ საიჯარო ქონება უბრუნდება შპს „საქართველოს რკინიგზას“ ნორმალური ფუნქციონირებისათვის ვარგის მდგომარეობაში. ამასთან, სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე დახარჯული თანხები მოიჯარეს არ აუნაზღაურდება.

• იჯარის ხელშეკრულების ვადამდე მოშლის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის №1-1/209 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის შესახებ“ დებულების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პირობის დადგომა.

3. საუკეთესო წინადადებების გამოვლენის კრიტერიუმები

• საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმებია მაქსიმალური საწყისი საიჯარო ქირის შემოთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის საიჯარო ქირას და საკონკურსო პირობების დაკმაყოფილება.

4. იჯარის ხელშეკრულების დადება

• კონკურსის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში გამარჯვებული მონაწილე ვალდებულია შპს „საქართველოს რკინიგზასთან“ გააფორმოს იჯარის ხელშეკრულება, რომელიც უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. ხელშეკრულების ნოტარიულად დამოწმების, საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და ამისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯებს ფარავს მოიჯარე.

• მოიჯარე ვალდებულია, ყოველ 6 თვეში ერთხელ, შპს „საქართველოს რკინიგზას“ წარუდგინოს ანგარიში იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

• სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში მოიჯარეს ეგზავნება გაფრთხილება წერილობითი ფორმით, სადაც მიეთითება ვადა დარღვევის აღმოსაფხვრელად. ამასთან, თუ „მოიჯარე“ დაარღვევს საიჯარო ქირის გადახდის ვადებს, იგი ჯარიმდება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე თვიური საიჯარო ქირის 0,1%-ის ოდენობით (ჯარიმა მოიჯარეს ეკისრება წინასწარი გაფრთხილების გარეშე).

• თუ გაფრთხილებით გათვალისწინებულ ვადაში მოიჯარე არ აღმოფხვრის დარღვევას ან უარს განაცხადებს ჯარიმის გადახდაზე, შპს „საქართველოს რკინიგზას“ უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს იჯარის ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში მოიჯარე კარგავს გაწეული ხარჯებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

5. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები

• დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს საიჯარო ქონების დასახელება და კონკურსანტის თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე.

• კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება. მის მიერ. წინადადებები საიჯარო ქირის შესახებ მოცემული უნდა იყოს კონკრეტული რიცხვის სახით. დაუშვებელია აპელირება სხვის წინადადებაზე (ასეთი წინადადებები არ განიხილება).

• „ბე“-ს გადახდის ქვითარი („ბე“ გადაიხდება შპს „საქართველოს რკინიგზის“ ანგარიშსწორების ანგარიშზე, საზოგადოების საბანკო რეკვიზიტების მიხედვით).

• კონკურსში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები ან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

• იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს.

• კონკურსში მონაწილეთა ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს კონკურსში მონაწილის სტატუსს.

• კონკურსის მონაწილეს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს დაესწროს მხოლოდ კონვერტის გახსნას. ამასთან, მონაწილეთა წინადადებებს საკონკურსო კომისია იხილავს მათი დასწრების გარეშე.

• გადაწყვეტილება კონკურსში საუკეთესო წინადადების გამოვლენის შესახებ ცხადდება, როგორც წესი, კონვერტის გახსნის დღეს. ამასთან, საკონკურსო კომისიას უფლება აქვს გადაწყვეტილება საუკეთესო წინადადების გამოვლენის შესახებ გამოაცხადოს კონვერტის გახსნიდან არა უგვიანეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

• კონკურსი ითვლება არშემდგარად, თუ კონკურსის გამოქვეყნებიდან დადგენილ ვადაში არ იქნა შეტანილი არც ერთი განაცხადი ან წარმოდგენილი განაცხადებიდან არც ერთი არ შეესაბამება კონკურსის პირობებს.

საიჯარო ქონებისა და კონკურსის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შპს „საქართველოს რკინიგზაში“.

შპს „საქართველოს რკინიგზა“

შპს „საქართველოს რკინიგზა“ აცხადებს კონკურსს

შპს „საქართველოს რკინიგზის“ ბალანსზე რიცხული სადგურ ახალციხის შენობის, მასზე დამაგრებულ მიწასთან ერთად (შემდგომში „საიჯარო ქონება“) იჯარით გაცემის მიზნით

1. ძირითადი საინფორმაციო მონაცემები

• **ქონების იურიდიული მისამართი** – ქ. ახალციხე,

• **საიჯარო ქონების დახასიათება:** შენობის საერთო ფართია 530 კვ.მ, შენობაზე დამაგრებულია 2107 კვ.მ. მიწის ფართი

• **საწყისი თვიური საიჯარო ქირა - 1500** ლარი, დღგ-ს ჩათვლით.

• **„ბე“** – 1500 ლარი.

• **იჯარის ვადა** – 10 წელი.

• **განაცხადების მიღების ადგილი** – ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციული შენობა, მე-4 სართული, ტელ.: 56-33-48.

• **განაცხადების მიღების ვადა** –2007 წლის 11 მაისიდან 2007 წლის 31 მაისამდე, კონკურსის ჩატარების დღემდე 10.00 საათიდან 18.00 საათამდე.

• **კონკურსის ჩატარების თარიღი, ადგილი და დრო** – 2007 წლის 1 ივნისი ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციული შენობა, 14.00 საათი.

• **შპს „საქართველოს რკინიგზის“ საბანკო რეკვიზიტები** – სს „გაერთიანებული ქართული ბანკის“ ფილიალი №3, ანგარიშსწორების ანგარიში №5553407, კოდი 220101665, საიდენტიფიკაციო კოდი 202886010.

• **კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ** – საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

2. კონკურსის პირობები

• საწყისი საიჯარო ქირა წელიწადში შეადგენს 18 000 ლარს (დღგ-ს ჩათვლით). საიჯარო ქირა გადაიხდება ყოველთვიურად (თვეში 1500 ლარი, დღგ-ს ჩათვლით). მეიჯარის მოთხოვნით საიჯარო ქირა გადაიხედება ყოველ 2 წელიწადში ერთხელ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანოს მიერ დადგენილი ეროვნული სამომხმარებლო ფასების ინდექსის მიხედვით, რისთვისაც ბაზისად აღებული იქნება 2007 წლის იანვრის თვის მაჩვენებელი.

• მოიჯარე საკუთარ თავზე იღებს შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ იმ იურიდიულ თუ ფიზიკურ პირებთან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, რომელთა საფუძველზეც მოიჯარეებს საიჯარო ქონებაში დაკავებული აქვთ საიჯარო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ფართი.

• მოიჯარემ დალუქული კონვერტით უნდა წარმოადგინოს საიჯარო ქონების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების პროექტი, სადაც გათვალისწინებული იქნება შენობის (მათ შორის იმ ფართის, რომელიც რჩება შპს „საქართველოს რკინიგზის” სარგებლობაში) და მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქციისთვის მოიჯარის მიერ განსახორციელებელი ინვესტიციის ოდენობა (არანაკლებ 150 000 ლარი). აღნიშნული პროექტი შემდგომში გამარჯვებული პირის მიერ, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, შეთანხმებულ უნდა იქნეს შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული სამუშაოები უნდა დაიწყოს იჯარის ხელშეკრულების დადებიდან 3 თვის ვადაში და დამთავრდეს 9 თვის განმავლობაში, წინაალმდეგ შემთხვევაში კონკურსის შედეგები გაუქმდება და გამარჯვებულს „ბე“ და გადახდილი საიჯარო ქირა არ დაუბრუნდება, ამასთან მოიჯარე ვალდებულია წინასწარ შეათანხმოს მის მიერ წარმოებული საქმიანობა.

• შპს “საქართველოს რკინიგზის“ მოთხოვნის თანახმად შენობის 90 კვ.მ. გადავა რკინიგზის სარგებლობაში და შესაბამისად მოხდება აღნიშნული ფართის საიჯარო ფასის კორექტირება. ამასთან, შპს „საქართველოს რკინიგზასთან“ შეთანხმების შემთხვევაში შესაძლებელია ფართის განლაგების შეცვლა. შპს „საქართველოს რკინიგზის“ მფლობელობაში დარჩენილი ფართის სქემატური გეგმა წარმოადგენს საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებისას მის განუყოფელ ნაწილს. მოიჯარემ იმგვარად უნდა განახორციელოს თავისი საქმიანობა, რომ შესაძლებელი იყოს სადგურის მოსაცდელი დარბაზის მიზნობრივი ფუნქციონირება. ამასთან ზემოაღნიშნული ფართები გათვალისწინებული უნდა იქნეს სადგურის სარემონტო-სარეკონსტრუქციო პროექტში. მოიჯარეს უფლება არა აქვს არამიზნობრივად გამოიყენოს სადგურის ბაქნები და მასთან მისასვლელი ინფრასტრუქტურა და ამით ხელი შეუშალოს მგზავრთა მომსახურებას.

• მოიჯარე ვალდებულია შპს „საქართველოს რკინიგზასთან“ წინასწარ შეათანხმოს იჯარით აღებულ ფართში განხორციელებული საქმიანობა.

• მოიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს იჯარით აღებული ქონების მოვლა-პატრონობა, ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოების და სანიტარიული ნორმების დაცვა.

• კომუნალურ გადასახადებსა და საიჯარო ქონების დაცვის ხარჯებს იხდის მოიჯარე.

• მესაკუთრე წინასწარ უცხადებს თანხმობას მოიჯარეს მასზედ, რომ მან იჯარის ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში სარგებლობის ნებისმიერი მიზნით, ქვეიჯარით გასცეს იჯარით დატვირთული ქონების სხვადასხვა ნაწილი. იმ პირობით, რომ ასეთი ქვეიჯარა პირდაპირ და/ან არაპირდაპირ არ შეზღუდავს ან სხვა რაიმე მავნე ზემოქმედებას არ მოახდენს საიჯარო ქონების ნორმალურ ფუნქციონირებაზე.

• მოიჯარეს ეკრძალება საიჯარო ქონება კრედიტის უზრუნველყოფის მიზნით ან სხვაგვარად უფლებრივად დატვირთოს იგი.

• იჯარის ვადის გასვლის შემდეგ საიჯარო ქონება უბრუნდება შპს „საქართველოს რკინიგზას” ნორმალური ფუნქციონირებისათვის ვარგის მდგომარეობაში. ამასთან, სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე დახარჯული თანხები მოიჯარეს არ აუნაზღაურდება.

• იჯარის ხელშეკრულების ვადამდე მოშლის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის №1-1/209 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის შესახებ“ დებულების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პირობის დადგომა.

3. საუკეთესო წინადადებების გამოვლენის კრიტერიუმები

• საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმებია მაქსიმალური საწყისი საიჯარო ქირის შემოთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის საიჯარო ქირას და საკონკურსო პირობების დაკმაყოფილება.

4. იჯარის ხელშეკრულების დადება

• კონკურსის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში გამარჯვებული მონაწილე ვალდებულია შპს „საქართველოს რკინიგზასთან“ გააფორმოს იჯარის ხელშეკრულება, რომელიც უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. ხელშეკრულების ნოტარიულად დამოწმების, საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და ამისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯებს ფარავს მოიჯარე.

• მოიჯარე ვალდებულია, ყოველ 6 თვეში ერთხელ, შპს „საქართველოს რკინიგზას“ წარუდგინოს ანგარიში იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

• სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში მოიჯარეს ეგზავნება გაფრთხილება წერილობითი ფორმით, სადაც მიეთითება ვადა დარღვევის აღმოსაფხვრელად. ამასთან, თუ „მოიჯარე“ დაარღვევს საიჯარო ქირის გადახდის ვადებს, იგი ჯარიმდება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე თვიური საიჯარო ქირის 0,1%-ის ოდენობით (ჯარიმა მოიჯარეს ეკისრება წინასწარი გაფრთხილების გარეშე).

• თუ გაფრთხილებით გათვალისწინებულ ვადაში მოიჯარე არ აღმოფხვრის დარღვევას ან უარს განაცხადებს ჯარიმის გადახდაზე, შპს „საქართველოს რკინიგზას“ უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს იჯარის ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში მოიჯარე კარგავს გაწეული ხარჯებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

5. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები

• დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს საიჯარო ქონების დასახელება და კონკურსანტის თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე.

• კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება მის მიერ. წინადადებები საიჯარო ქირის შესახებ მოცემული უნდა იყოს კონკრეტული რიცხვის სახით. დაუშვებელია აპელირება სხვის წინადადებაზე (ასეთი წინადადებები არ განიხილება).

• „ბე“-ს გადახდის ქვითარი („ბე“ გადაიხდება შპს „საქართველოს რკინიგზის“ ანგარიშსწორების ანგარიშზე, საზოგადოების საბანკო რეკვიზიტების მიხედვით).

• კონკურსში მონაწილე ფიზიკური პირის პიროვნების დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები ან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

• საბანკო გარანტია საიჯარო ქონების სარეკონსტრუქციო-სამშენებლო სამუშაოების ჩატარებისათვის საჭირო თანხის 10 %-ის ოდენობით.

• იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს.

• კონკურსში მონაწილეთა ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს კონკურსში მონაწილის სტატუსს.

• გადაწყვეტილება კონკურსში საუკეთესო წინადადების გამოვლენის შესახებ ცხადდება, როგორც წესი, კონვერტის გახსნის დღეს. ამასთან, საკონკურსო კომისიას უფლება აქვს გადაწყვეტილება საუკეთესო წინადადების გამოვლენის შესახებ გამოაცხადოს კონვერტის გახსნიდან არა უგვიანეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

• კონკურსი ითვლება არშემდგარად, თუ კონკურსის გამოქვეყნებიდან დადგენილ ვადაში არ იქნა შეტანილი არც ერთი განაცხადი ან წარმოდგენილი განაცხადებიდან არც ერთი არ შეესაბამება კონკურსის პირობებს.

საიჯარო ქონებისა და კონკურსის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შპს „საქართველოს რკინიგზაში“.

შპს „საქართველოს რკინიგზა“

შპს „საქართველოს რკინიგზა“ აცხადებს კონკურსს

შპს „საქართველოს რკინიგზის“ ბალანსზე რიცხული სადგურ კასპის შენობის 225 კვ.მ ფართის, მასზე დამაგრებულ მიწასთან ერთად (შემდგომში „საიჯარო ქონება”) იჯარით გაცემის მიზნით

1. ძირითადი საინფორმაციო მონაცემები

• **ქონების იურიდიული მისამართი** – ქ. კასპი,

• **ქონების დახასიათება:** შენობის სასარგებლო ფართია 447.72 კვ.მ., შენობაზე დამაგრებულია 1514 კვ.მ. მიწის ფართი.

• **საიჯარო ფართი:** შენობის ფართი 225 კვ.მ, შენობაზე დამაგრებულია 1514 კვ.მ. მიწის ფართი.

• **საწყისი თვიური საიჯარო ქირა - 800** ლარი, დღგ-ს ჩათვლით.

• **„ბე“** – 800 ლარი.

• **იჯარის ვადა** – 10 წელი.

• **განაცხადების მიღების ადგილი** – ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციული შენობა, მე-4 სართული, ტელ.: 56-33-48.

• **განაცხადების მიღების ვადა** –2007 წლის 11 მაისიდან 2007 წლის 30 მაისამდე, კონკურსის ჩატარების დღემდე 10.00 საათიდან 18.00 საათამდე.

• **კონკურსის ჩატარების თარიღი, ადგილი და დრო** – 2007 წლის 31 მაისი, ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციული შენობა, 14.00 საათი.

• **შპს „საქართველოს რკინიგზის“ საბანკო რეკვიზიტები** – სს „გაერთიანებული ქართული ბანკის“ ფილიალი №3, ანგარიშსწორების ანგარიში №5553407, კოდი 220101665, საიდენტიფიკაციო კოდი 202886010.

• **კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ** – საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

2. კონკურსის პირობები

• საწყისი საიჯარო ქირა წელიწადში შეადგენს 9600 ლარი (დღგ-ს ჩათვლით). საიჯარო ქირა გადაიხდება ყოველთვიურად (თვეში 800 ლარი, დღგ-ს ჩათვლით). მეიჯარის მოთხოვნით საიჯარო ქირა გადაიხდება ყოველ 2 წელიწადში ერთხელ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანოს მიერ დადგენილი ეროვნული სამომხმარებლო ფასების ინდექსის მიხედვით, რისთვისაც ბაზისად აღებული იქნება 2007 წლის იანვრის თვის მაჩვენებელი.

• მოიჯარემ დალუქული კონვერტით უნდა წარმოადგინოს საიჯარო ქონების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების პროექტი, სადაც გათვალისწინებული იქნება შენობის (მათ შორის იმ ფართის, რომელიც რჩება შპს „საქართველოს რკინიგზის” სარგებლობაში) და მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქციისთვის მოიჯარის მიერ განსახორციელებელი ინვესტიციის ოდენობა (არანაკლებ 90 000 ლარი). აღნიშნული პროექტი შემდგომში გამარჯვებული პირის მიერ, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, შეთანხმებულ უნდა იქნეს შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული სამუშაოები უნდა დაიწყოს იჯარის ხელშეკრულების დადებიდან 3 თვის ვადაში და დამთავრდეს 9 თვის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში კონკურსის შედეგები გაუქმდება და გამარჯვებულს „ბე” და გადახდილი საიჯარო ქირა არ დაუბრუნდება, ამასთან მოიჯარე ვალდებულია წინასწარ შეათანხმოს მის მიერ წარმოებული საქმიანობა.

• შენობის 222.72 კვ.მ. რჩება შპს „საქართველოს რკინიგზის” სარგებლობაში. შენობის პასპორტის მიხედვით შპს „საქართველოს რკინიგზის” მფლობელობაში დარჩენილი ფართის სქემატური გეგმა წარმოადგენს საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებისას მის განუყოფელ ნაწილს. ამასთან, შპს „საქართველოს რკინიგზასთან” შეთანხმების შემთხვევაში შესაძლებელია აღნიშნული ფართის განლაგების შეცვლა. მოიჯარემ იმგვარად უნდა განახორციელოს თავისი საქმიანობა, რომ შესაძლებელი იყოს სადგურის მოსაცდელი დარბაზის მიზნობრივი ფუნქციონირება. ამასთან ზემოაღნიშნული ფართები გათვალისწინებული უნდა იქნეს სადგურის სარემონტო-სარეკონსტრუქციო პროექტში. მოიჯარეს უფლება არა აქვს არამიზნობრივად გამოიყენოს სადგურის ბაქნები და მასთან მისასვლელი ინფრასტრუქტურა და ამით ხელი შეუშალოს მგზავრთა მომსახურებას.

• მოიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს იჯარით აღებული ქონების მოვლა-პატრონობა, ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოების და სანიტარიული ნორმების დაცვა.

• კომუნალურ გადასახადებსა და საიჯარო ქონების დაცვის ხარჯებს იხდის მოიჯარე.

• მესაკუთრე წინასწარ უცხადებს თანხმობას მოიჯარეს მასზედ, რომ მან იჯარის ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში სარგებლობის ნებისმიერი მიზნით, ქვეიჯარით გასცეს იჯარით დატვირთული ქონების სხვადასხვა ნაწილი. იმ პირობით, რომ ასეთი ქვეიჯარა პირდაპირ და/ან არაპირდაპირ არ შეზღუდავს ან სხვა რაიმე მავნე ზემოქმედებას არ მოახდენს საიჯარო ქონების ნორმალურ ფუნქციონირებაზე.

• მოიჯარე ვალდებულია შპს „საქართველოს რკინიგზასთან“ წინასწარ შეათანხმოს იჯარით აღებულ ფართში განხორციელებული საქმიანობა.

• მოიჯარეს ეკრძალება გამოიყენოს საიჯარო ქონება კრედიტის უზრუნველყოფის მიზნით ან სხვაგვარად უფლებრივად დატვირთოს იგი.

• იჯარის ვადის გასვლის შემდეგ საიჯარო ქონება უბრუნდება შპს „საქართველოს რკინიგზას” ნორმალური ფუნქციონირებისათვის ვარგის მდგომარეობაში. ამასთან, სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე დახარჯული თანხები მოიჯარეს არ აუნაზღაურდება.

• იჯარის ხელშეკრულების ვადამდე მოშლის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის №1-1/209 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის შესახებ“ დებულების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პირობის დადგომა.

3. საუკეთესო წინადადებების გამოვლენის კრიტერიუმები

• საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმებია მაქსიმალური საწყისი საიჯარო ქირის შემოთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის საიჯარო ქირას და საკონკურსო პირობების დაკმაყოფილება

4. იჯარის ხელშეკრულების დადება

• კონკურსის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში გამარჯვებული მონაწილე ვალდებულია შპს „საქართველოს რკინიგზასთან“ გააფორმოს იჯარის ხელშეკრულება, რომელიც უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. ხელშეკრულების ნოტარიულად დამოწმების, საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და ამისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯებს ფარავს მოიჯარე.

იხ. 12 გვ.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

შპს „საქართველოს რკინიგზა“ აცხადებს კონკურსს

შპს „საქართველოს რკინიგზის“ ბალანსზე რიცხული სადგურ კასპის შენობის 225 კვ.მ ფართის, მასზე დამაგრებულ მიწასთან ერთად (შემდგომში „საიჯარო ქონება”) იჯარით გაცემის მიზნით

(მეთერთმეტე გვერდიდან)

• მოიჯარე ვალდებულია, ყოველ 6 თვეში ერთხელ, შპს „საქართველოს რკინიგზას“ წარუდგინოს ანგარიში იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

• სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში მოიჯარეს ეგზავნება გაფრთხილება წერილობითი ფორმით, სადაც მეთითება ვადა დარღვევის აღმოსაფხვრელად. ამასთან, თუ „მოიჯარე“ დაარღვევს საიჯარო ქირის გადახდის ვადებს, იგი ჯარიმდება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე თვიური საიჯარო ქირის 0,1%-ის ოდენობით (ჯარიმა მოიჯარეს ეკისრება წინასწარი გაფრთხილების გარეშე).

• თუ გაფრთხილებით გათვალისწინებულ ვადაში მოიჯარე არ აღმოფხვრის დარღვევას ან უარს განაცხადებს ჯარიმის გადახდაზე, შპს „საქართველოს რკინიგზას“ უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს იჯარის ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში მოიჯარე კარგავს გაწეული ხარჯებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

5. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები

• დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს საიჯარო ქონების დასახელება და კონკურსანტის თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე.

• კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება მის მიერ. წინადადებები საიჯარო ქირის შესახებ მოცემული უნდა იყოს კონკრეტული რიცხვის სახით. დაუშვებელია აპელირება სხვის წინადადებაზე (ასეთი წინადადებები არ განიხილება).

• „ბე“-ს გადახდის ქვითარი („ბე“ გადაიხდება შპს „საქართველოს რკინიგზის“ ანგარიშსწორების ანგარიშზე, საზოგადოების საბანკო რეკვიზიტების მიხედვით).

• კონკურსში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები ან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

• საბანკო გარანტია საიჯარო ქონების სარეკონსტრუქციო-სამშენებლო სამუშაოების ჩატარებისათვის საჭირო თანხის 10 %-ის ოდენობით.

• იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს.

• კონკურსში მონაწილეთა ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს კონკურსში მონაწილის სტატუსს.

• გადაწყვეტილება კონკურსში საუკეთესო წინადადების გამოვლენის შესახებ ცხადდება, როგორც წესი, კონვერტის გახსნის დღეს. ამასთან, საკონკურსო კომისიას უფლება აქვს გადაწყვეტილება საუკეთესო წინადადების გამოვლენის შესახებ გამოაცხადოს კონვერტის გახსნიდან არა უგვიანეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

• კონკურსი ითვლება არშემდგარად, თუ კონკურსის გამოქვეყნებიდან დადგენილ ვადაში არ იქნა შეტანილი არც ერთი განაცხადი ან წარმოდგენილი განაცხადებიდან არცერთი არ შეესაბამება კონკურსის პირობებს.

საიჯარო ქონებისა და კონკურსის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შპს „საქართველოს რკინიგზაში“.

შპს „საქართველოს რკინიგზა“

◎ ინფორმაცია

„აირზენა“ საპროტესტო აქციას მართავს

საქართველოში ისრაელის საელჩოს შენობასთან ავიაკომპანია „აირზენა საქართველოს ავიახზების“ თანამშრომლებმა გუშინ საპროტესტო აქცია გამართეს.

„აირზენას“ წარმომადგენლის პაატა ჩადუნელის განცხადებით, ისრაელმა ქართულ ავიაკომპანიას რეისების რაოდენობა შეუმცირა. მისივე თქმით, ამიერიდან ავიაკომანიის თვითმფრინავები თელ-ავივში კვირაში ორი რეისის ნაცვლად ერთ რეისს შეასრულებენ.

როგორც აქციაზე ითქვა, ისრაელის მხარე მოითხოვდა, რომ ქართულ ავიაკომპანიას სავარძლების რაოდენობა შეემცირებინა, თუმცა ავიაკომპანიის ხელმძღვანელობა ამის გაკეთებას არ აპირებს.

— სწორედ სავარძლების მეტი რაოდენობით შეგვიძლია აღვადგინოთ ბალანსი ზამთრისა და ზაფხულის ფრენებს შორის. ჩვენი კომპანია არ ზღუდავს ისრაელის ავიაკომპანიას და თუ სურვილი აქვთ, მანაც დაამატოს სავარძლების რაოდენობა, — განაცხადა ჩადუნელმა.

მისივე თქმით, „აირზენამ“ დახმარებისთვის საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსაც მიმართა, თუმცა მათგან არანაირი ოფიციალური პასუხი არ მიუღიათ.

ვინ დაარბია მაგული გოგიტიძის საფლავი?

საპარლამენტო ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიცია“ ასლან აბაშიძის მეუღლის მაგული გოგიტიძის საფლავის დარბევის ფაქტზე რეაგირებას ხელისუფლებას სთხოვს.

ამ საკითხთან დაკავშირებით ფრაქციამ გუშინ სპეციალური განცხადება გაავრცელა.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ისინი იმედოვნებდნენ, რომ ხელისუფლება მცირე გულისტკივილს მაინც გამოხატავდა მომხდარის გამო და სათანადო ზომებს მიიღებდა ამ აქტის ჩამდენთა გამოსავლენად.

მათი თქმით, ხელისუფლება არათუ არ აპირებს დამნაშავეთა მოძებნასა და დასჯას, არამედ დასაშვებადაც კი მიაჩნიათ, რომ ქვეყანაში ასე უსწორდებოდნენ მათთვის არასასურველ ადამიანთა ხსოვნას.

მემარჯვენეები აღნიშნავენ, რომ ყველაზე მაღალი პოლიტიკური პირები თუ არა, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები მაინც იყვნენ ვალდებული, შესაბამისი რეაგირება მოეხდინათ.

— საფლავის დარბევა გაუგონარი ვანდალიზმია ნებისმიერი ხალხისთვის და მით უმეტეს, ქართული ქრისტიანული ტრადიციებისთვის, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა მიცვალებულთა ხსოვნის მიმართ განსაკუთრებული პატივისცემითა და მოწიწებით, — აცხადებენ მემარჯვენეები.

ისინი მიიჩნევენ, რომ დუმილი და, მით უმეტეს, შესაბამისი ზომების მიუღებლობა ამ ფაქტთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას მორალურ და ზნეობრივ საკითხებთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები აქვს.

— ასე ვთვლით ჩვენ და ასე ჩათვლის ამას მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, რომელიც არასოდეს შეურიგდება ერის ზნეობრივ დეგრადაციას, — ნათქვამია განცხადებაში.

ინტერპრესნიუსი

განცხადება

ა/წ. 31 მაისს, 15 სთ. გაიმართება სს „სტომატოლოგის“ აქციონერთა საერთო კრება. მის. ქ. თბილისი, აღმაშენებლის №55.

აქციონერთა დასწრება სავალდებულოა.

დღის წესრიგშია:

1. წლიური ანგარიში;
2. არჩევნები;
3. აქციონერის მიერ დატოვებული წილის გადანაწილება;
4. სხვადასხვა.

სს „სტომატოლოგის“ ადმინისტრაცია
10 V. 2007

„2007 წლის 10 მაისს გამოცხადებული სააქციო საზოგადოება „სინემა კლუბის“ აქციონერთა საერთო კრება ჩატარდება 2007 წლის 14 მაისს, შემდეგი დღის წესრიგით:

1. სს „სინემა კლუბის“ 2006 წლის წლიური ანგარიშის შესახებ;
2. აუდიტის არჩევის შესახებ;
3. სხვადასხვა.

დასაწყისი 14 საათზე.

მისამართი: ძმები კაკაბაძეების ქ.№2. „კინოს სახლის“ მცირე კინოდარბაზი.

სს „სინემა კლუბის“ დირექცია“

შპს „კაპიტალი“ აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ მოგვმართოთ მისამართზე: გამსახურდიას გამზირი №23. ტელ: 34-11-08.

2007 წლის 18 მაისს 15 საათზე გაიმართება თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის მეპაიეთა წარმომადგენელთა კრება (თავისუფლების მოედანი №7, ოთახი 523-525)

დღის წესრიგი:

1. თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის 2006 წლის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგების შესახებ;
2. თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის ქონების წილის სახელმწიფოზე გადაცემის შესახებ.

2007 წლის 31 მაისს 12 საათზე გაიმართება სააქციო საზოგადოება „ჩარხმშენებელის“ აქციონერთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. 2006 წლის სამეურნეო-საფინანსო შედეგების განხილვა.

საერთო კრების სააღრიცხვო დღეა 2007 წლის 30 აპრილი.

აქციონერთა საერთო კრება გაიმართება ქ. თბილისში, თ. ერისთავის ქუჩა №1-ში.

სს „ჩარხმშენებელი“

საქმე №2/8377-06

განჩინება

კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ

ქ. თბილისი 8 მაისი 2007 წ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ი. ადეიშვილმა ერთპიროვნულად განვიხილე შპს „კომპანია საქთხევადგაზის“ გაკოტრების მმართველის გიორგი ლომიძის გაცხადების განსახილველად კრედიტორთა კრების მოწვევის საკითხი.

დაადგინა

1. შპს „კომპანია საქთხევადგაზის“ გაკოტრების მმართველის გიორგი ლომიძის განცხადება დაკმაყოფილდეს, მოწვეულ იქნეს შპს „კომპანია საქთხევადგაზის“ კრედიტორთა კრება 2007 წლის 18 მაისს 16 სთ-ზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, სხდომის დარბაზი №10 (მისამართი: ქ. წამებულის გამზ. №1).
2. ინფორმაცია კრედიტორთა კრების მოწვევის თაობაზე გამოქვეყნდეს „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლით განსაზღვრული წესით.
3. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

მოსამართლე ი. ადეიშვილი

● **საგულისხმოა ისიც, რომ პაექრობების დასკვნით დღეს (კვირას) ქართულ ცეკვას შეასრულებს ამერიკელი ვიქტორ სიველსონი, რომელიც ნიუ-იორკში ანსამბლ „მოცეკვავე წეროს“ ხელმძღვანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

◎ ორბიტაზე

მსოფლიოში საუკეთესონი

გამოქვეყნდა ქალ ჩოგბურთელთა მსოფლიო რეიტინგი 10 მაისისთვის.

52-კვირიანი შედეგების მიხედვით საჩოგბურთო ელიტის ლიდერია ბელგიელი ენენი — 4123 ქულა, მეორე ადგილზეა რუსეთელი შარაპოვა — 3388, მესამეზე — ფრანგი მორესმო — 2778, მეოთხეზე — რუსეთელი კუზნეცოვა — 2655, მეხუთეზეკი — ახლა უკვე დიდი ჩოგბურთიდან წასასვლელად გამზადებული ბელგიელი კლიისტერსი — 2505.



ანა ჩაკვეტაძე ამ რეიტინგში 1829 ქულით მე-11 ადგილზეა.

წლევანდელი შედეგებით კი ლიდერობს სერბი იანკოვიჩი — 1555 ქულა, მეორე ადგილზეა ამერიკელი სერენა უილიამსი — 1531, მესამეზე ენენი — 1325. შემდეგ მოდიან: კუზნეცოვა — 1061, შვეიცარიელი ჰინგისი — 1036, შარაპოვა — 1030 და ა.შ.

ჩაკვეტაძე ამ რეიტინგით მე-9 ადგილზეა — 920 ქულა.

შევჩენკო — გოლფისტი?

ფეხბურთის გულშემატკივრები ძალზე გაოცდნენ, როდესაც ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალის საპასუხო მატჩში „ლივერპულის“, ასევე პრემიერ-ლიგაში „არსენალის“ წინააღმდეგ „ჩელსის“ შემადგენლობაში თავდამსხმელი ანდრეი შევაჩენკო ვერ იხილეს. ის ხომ ასეთ გადამწყვეტ შეხვედრებში ძალზე სასარგებლო იქნებოდა გუნდისთვის.

„ჩელსის“ მთავარი მწვრთნელის ჟოზე მოურინიუს დაგვიანებული განმარტებით, ინგლისელთა უკრაინელმა ფორვარდმა ფეხბურთზე გული აიყარა და გოლფმა გაიტაცა.

მაშინაც, როცა შევჩენკო „ემირეიტესის“ მინდორზე ვერ იხილეს, ორმა გულშემატკივარმა როგორლაც მოახერხა მოურინიუსთან მიახლოვება და კითხვა, „სადაა შევჩენკო?“ პორტუგალიელი მწვრთნელი არ დაიბნა და დასარტყმელად მომზადებული გოლფისტის მოძრაობის იმიტაცია მოახერხა. ეს რომ არ ირწმუნეს, ფანატებმა შეკითხვა გაიმეორეს, მწვრთნელმაც გოლფისტის მოძრაობა გაიმეორა, რაც ვიდეოკამერებმაც აღბეჭდეს. ეს ჩანაწერი ახლა ძალზე პოპულარულია ბრიტანელ ფეხბურთის მოყვარულებში. ალბათ, ამის გამო ანდრეი შევჩენკოს შესაძლებლობისთანავე უამრავ შეკითხვას დაუსვამენ ჟურნალისტებიც და გულშემატკივრებიც.

◎ სპორტული ცეკვები

მუშტაიდსა და ვერაზე

დღეს მუშტაიდში, სტუდია „თელას“ დარბაზში, დაიწყება სპორტულ მოცეკვავეთა აღმოსავლეთ ევროპის ჩემპიონატი, ღია საერთაშორისო ტურნირი და „კავკასიის თასის“ მე-12 გათამაშება. მოასპარეზენი ხვალ და ზეგ ვერის ბაღის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში გადაინაცვლებენ და იქ შეეჯიბრებიან ერთმანეთს.

— წლეულს მედლებისათვის მასპინძლებთან ერთად პოლონეთის, ჩეხეთის, რუსეთის, უკრაინის, ბელორუსის, სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებიც იბრძოლებენ, — მითხრა სპორტულ ცეკვებში საქართველოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **თენგიზ გაჩეჩილაძემ.** — ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავენ მიხეილ კაპუსტა და ვიქტორია ბიწაძე, გიორგი გაჩეჩილაძე და სალომე ჩაჩუა, რევაზ რობაქიძე და მარი ბეჟუაშვილი, რაფაელ ანანიკიანი და ნინო ქოთოლაშვილი, ასევე სხვა უძლიერესი წყვილები თბილისიდან, ქუთაისიდან რუსთავიდან, ბათუმიდან, ახალციხიდან და საჩხერიდან.

აღმოსავლეთ ევროპის ჩემპიონატზე მედლები მხოლოდ ლათინოამერიკულ ცეკვებში გათამაშდება. ღია საერთაშორისო ტურნირის მონაწილეები ევროპულ და ლათინოამერიკულ 10 ცეკვაში შეეჯიბრებიან ერთმანეთს. მეთორმეტედ ვეცდებით გუნდურში „ამიერკავკასიის თასის“ შენარჩუნებას.

საგულისხმოა ისიც, რომ პაექრობების დასკვნით დღეს (კვირას) ქართულ ცეკვას შეასრულებს ამერიკელი ვიქტორ სიველსონი, რომელიც ნიუ-იორკში ანსამბლ „მოცეკვავე წეროს“ ხელმძღვანელია.

შეჯიბრებები სამივე დღეს დილის 11 და საღამოს 17 საათზე დაიწყება.

ლეძსო ცინცაძე

◎ ჭიდაობა

ხუთნი ევროპიდან

20 ქვეყნის ფალავნები მონაწილეობდნენ სტამბოლში გამართულ ქამრიანი ჭიდაობის ევროპის მეორე ჩემპიონატში. სპორტის ეს სახეობა სხვადასხვა სახელმწიფოთა ხალხური ორთაბრძოლების ერთგვარი სინთეზია და ემოციურობით გამოირჩევა.

თავისუფალი სტილის მოჭიდავეებით დაკომპლექტებულმა საქართველოს დელეგაციამ 6 მედალი მოიპოვა, რაც, დაგვეთანხმებით, კარგ შედეგად უნდა ჩაითვალოს. გაგაცნობთ კონტინენტის პირველობის ქართველ პრიზიორთა ვინაობას.

ვაჟები. მიხეილ ზარქუა (73) — „ვერცხლი“. მალხაზ ქურდიანი (66), ნუკრი ჯელაძე (81), მალხაზ ჯორბენაძე (90) — „ბრინჯაო“.

ქალები. თამარ ჯინჭარაძე (58) — „ბრინჯაო“.

ოქტომბერში საქართველოს ნაკრები ბაშკირეთის დედაქალაქ უფაში მსოფლიოს მეექვსე ჩემპიონატზე იასპარეზებს.

◎ ჩემპიონთა ლიგა

მოდი და, ნუ გაიმარჯვებ!

ჩემპიონთა ლიგის ფინალში, რომელიც 23 მაისს უნდა გაიმართოს ათენში, თუ კი „ლივერპული“ დაამარცხებს „მილანს“, ინგლისური კლუბის თითოეულ მოთამაშეს 100 ათას გირვანქა სტერლინგს ჰპირდებიან.

„ლივერპულის“ ახალმა მფლობელებმა ჯორჯ ჯილეტმა და ტომ ჰიკსმა საამისოდ 2,5 მილიონი გირვანქა გამოყვეს, რაც ფინალში გამარჯვების შემთხვევაში უნდა გაინაწილონ კლუბის ფეხბურთელებმა, მწვრთნელთა შტაბმა და გუნდის პერსონალმა. ამას ბრიტანული The Guardian იუწყება.

შედარებისთვის: „ჩელსის“ პატრონი რომან აბრამოვიჩი თავისი კლუბის მოთამაშეებისა და მწვრთნელების პრემიებისთვის 14 მილიონი გირვანქის გაღებას აპირებდა, თუ ისინი მოიგებდნენ ჩემპიონთა ლიგას, პრემიერ-ლიგასა და ინგლისის თასს. პირველი ორისათვის ბრძოლაში „არისტოკრატებმა“ კრახი განიცადეს.

„მანჩესტერ იუნაიტედი“ კი ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვების შემთხვევაში თავის პატრონებისგან „რაღაც“ 5,6 მილიონ გირვანქას მოელოდა.

ასეთი სიმდიდრის მომლოდინე, მოდი და, ნუ გაიმარჯვებ!

◎ მეკლდეურობა

გვახსოვხარ, ირაკლი!

1984 წელს უშბაზე დაღუპული მთამსვლელის ირაკლი გელდიაშვილის ტრადიციულ მემორიალში 60-ზე მეტი თბილისელი, ბათუმელი, ყაზბეგელი, ლენტეხელი და მესტიელი მეკლდეური მონაწილეობდა.

ქართველოს ჩემპიონმა ავთო ქურასბედიანმა იმარჯვა და, ბუნებრივია, საერთო ჯამშიც მან აჯობა ყველას. მეორე და მესამე პრიზიორები, შესაბამისად, გურამ ხუციშვილი და კობა ფერაძე გახდნენ.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის დარბაზში დასრულებული მემორიალი რთულ და სწრაფ ცოცვაში გაიმართა. ვაჟთა შორის ორივე დისციპლინაში საუკეთესო დროებს ბ. ბ. ... ...

● სულ ის ძველი ოდა-სახლი მესიზმრება ხოლმე, განსაკუთრებით კი, რაც ხანში შევედი...

◎ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲡᲘᲚᲣᲔᲢᲔᲑᲘ

რა სიზმარს ხედავს ხშირ-ხშირად იმედა კახიანი

— ᲘᲛᲔᲓᲐ თუ იმედო?.. ბევრი, ჩემი არ იყოს, ხან ერთს გეძახით და ხან — მეორეს...

— იმედა, იმედა!.. პასპორტით ასეა... მამაჩემის დარქმეულია... პირველი შვილი ვიყავი და...

— გაუმართლეთ იმედი?..

— აბა, რა გითხრათ... მამაჩემი, სანამ ცოცხალი იყო, სიკეთეს და კაცურ თვისებებს გვინერგავდა მე და ჩემ ძმებს (სამნი ვართ) და ჩვენც ვცდილობთ, ასე ვიცხოვროთ... ამასობაში, აი, სამოცდაათის მოვიყარე... ამხნობამდე ჩემ ახლობელს არავის მიულწევია, მამა 62 წლისა გარდაიცვალა... რეპრესირებული იყო, ნაწვალები... „ძირგამომთხრელი საქმიანობისთვის“ გადაასახლეს, კინოში შეყვარებულთან ერთად იჯდა და იქიდან წაიყვანეს.

— რა დააშავა მაინც ასეთი, ცხონებულმა?..

— არც არაფერი... სიკეთე, ასე გადაუხადეს: მამაჩემს ქუთაისის რეალური სასწავლებელი რომ დაუმთავრებია, თბილისში ჩამოსულა სწავლის გასაგრძელებლად. „პლეხანოვზე“ ჰქონდა თურმე ერთი მომცრო ოთახი. თუ ვინმე ჩვენი სოფლიდან — ეწერიდან თბილისში ჩამოვიდოდა, მამაჩემთან ათევდა ღამეს. ერთხელაც, ერთი კარის მეზობელი ჩამოსულა, მამასთან დარჩენილა რამდენიმე დღეს და მალე მილიციაში დაუწყია მუშაობა. მამა რომ გადაასახლეს, მოგვიანებით გავიგეთ, რომ სწორედ ამ კაცს „ჩაუშვია“ მამაჩემი, მცხეთაში, დღესასწაულზე რაღაც სხვანაირად ლაპარაკობდაო, მაგი არ გამოადგება ამ ქვეყანასო. რომ ჩამოვიდა მამაჩემი გადასახლებიდან, ერთ დღეს ქუჩაში დაუნახავს ეს კაცი. იმასაც შეუმჩნევია. გაქცეულა, გამოკიდებია მამაჩემი, გაუჩერებია და უთქვამს, არ გრცხვენია კაცო?.. მეზობლები ვართ, ახლობლები, ჩვენი დამდურება როგორ შეიძლებაო. მერე, სოფელში, ვითომც არაფერი, ისე გადადიოდა, თურმე ის „კეთილისმსურველი“ მეზობელი მამაჩემის სანახავად... ავადმყოფობდა საწყალი... ერთხელაც, თბილისიდან რომ ჩავედით ძმები მამის სანახავად, დედამ გვითხრა, ვერ წარმოიდგენთ, ისეთი რამ ჩაიდინა გუშინ მამათქვენმაო, ის მეზობელი რომ შეგვიდა სანახავად, ლადო საწოლში კედლისკენ გადაბრუნდაო... აი, ასეთი კაცი იყო ლადო კახიანი და მე თუ ცოტათი მაინც გავამართლე მისი იმედი, ბედნიერი კაცი ვარ... დედა მიქელაძის ქალი გახლდათ, მასწავლებელი... მთელ სოფელს მან შეაყვარა „დედა-ენა“, სიცოცხლის ბოლომდე ქმრის კერია არ გაუცივებია. ზამთრობით რომ ჩამოვიყვანდით, ვერ ჩერდებოდა აქ და სოფლისკენ ეჭირა თვალი...

— გაუმართლეთ იმედი მეგობრებს?..

— უფრო მე ვიყავი იმათი იმედით. მამა რომ გარდაიცვალა, 12 წლის ბიჭი თბილისში მარტოხელა მამიდამ ფატი კახიანმა ჩამომიყვანა. საოცარი ქალი იყო, მორწმუნე. არადა, რელიგიურობა მაშინ რამდენ რისკთან იყო დაკავშირებული, მოგეხსენებათ. მამიდა ყოველ კვირა დილით გამომაწყობდა და წამიყვანდა სიონში. ერთ დილით უბედურება დამატყდა: მე-19 ვაჟთა სკოლაში ვსწავლობდი, ადრე მაღვიძებდა მამიდა, რომ გაკვეთილები გამემეორებინა... უცებ წაიქცა იგი და ხელში ჩამაკვდა. დავრჩი მარტო, სოფელში აღარ დავბრუნდი მშობლებთან, სწავლა განვაგრძე და ჩემი მეგობრების და მათი მშობლების იმედად ვიყავი...

— გაუმართლეთ იმედი ქართულ კინემატოგრაფს?

— ზუსტად 50 წელი გავიდა „საბუდარელი ჭაბუკის“ გადაღებიდან. რას არ მოვესწარი ამ ხნის განმავლობაში. ორმოცდაათზე მეტი როლი მარტო ქართულ ფილმებში ვითამაშე. როგორ ვითამაშე და რა გამოვიდა, ამას მე როგორ შევაფასებ. იმას კი ვიტყვი, რომ უამრავ ბუმბერაზ მსახიობთან მომიწია მუშაობა. აბა, სესილია თაყაიშვილი, აბა, იპოლიტე ხვიჩიაო, აბა, გრიშა ტყაბლაძეო, აბა, გიორგი შავგულიძეო... რა დამავიწყებს იმ უბედურ დღეს, შავგულიძის ბოლო ფილმის — „განაჩენის“ გადაღებები კინოსტუდიაში გვქონდა დილით და საღამოთი. დავამთავრეთ გადაღება და საგრიმიოროში ავედით. მე — ოცი წლის ჭაბუკი და ჩემი სათაყვანებელი ბატონი ჟორა. ორმოცდარვა წლის იყო, მგონი, მაშინ. გამოვიცვალეთ ტანსაცმელი, დამემშვიდობა, ფრანგული ფილმების ფესტივალზე ბილეთი მაქვს და მინდა შევიდეო, მითხრა და წავიდა თავისებური ტანის რხევით... წავიდა და წავიდა... საღამოს ვემზადებით გადასაღებად და დაგვირეკეს თავზარდამცემი ამბავი — გიორგი შავგულიძეს ტროლეიბუსი დაჯახებოდა „პლეხანოვზე“... ანდა, რა კაცი იყო ბატონი შოთა მანაგაძე, რა ქართველი!.. თეატრალური ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტები, რამდენიმე ვაჟი „საბუდარელი ჭაბუკის“ „მასოვკისთვის“ მიგვიყვანეს კინოსტუდიაში. ბატონმა შოთამ შეგვათვალიერა და ჩემზე უთხრა ვიღაცას, გოგიტას როლზე გავსინჯოთო. ჩამაცვეს, გამიკეთეს გრიმი, მათამაშეს რომელიღაც სცენა... ერთხელ, მეორედ, მესამედ... და დამამტკიცეს მთავარ როლზე... წარმოიდგინეთ, რა ბედნიერი ვიყავი... თებროლეს როლზე ბელა აიყვანეს, მირიანა შვილი, ჩემი თანაკურსელი, მაგრამ იმ დროს, ასე ჰაიჰარად სტუდენტი კინოში გადასაღებად ვერ წავიდოდა და ჩვენ ორივე გაგვრიცხეს ინსტიტუტიდან, დავდეთ პირობა პროფკავშირის კრებაზე, რომ მეტს აღარ ვიზამდით, მაგრამ მე რამდენჯერმე მომიწია ამ პირობის დარღვევა. ოთხჯერ გამრიცხეს და აღმადგინეს... ბოლოს და ბოლოს, ვერ დავამთავრე ინსტიტუტი და სცენაზეც ვერ ვითამაშე, რასაც დღემდე განვიცდი. სცენა მსახიობისთვის მაინც სხვა რამეა... კინოს შევრჩი თუნდაც იმიტომ, რომ უმალ მიმიღეს კინოსტუდიის შტატის მსახიობად, ხელფასიც გვარიანი იყო... დატვირთული ვიყავი, რასაც ვერ ვიტყვი ჩემი ეკას თაობაზე, უნიჭიერეს ახალგაზრდებზე... დრო სწრაფად გადის, მათ კი სამუშაო ნაკლები აქვთ.

— გაუმართლეთ იმედი მეუღლეს?.. ოჯახს?..

— ოოო... ოჯახში უმცირესობაში ვარ — ქალებში... თუმცა სიძე მყავს, კაი ბიჭი... აბა, რა ვქნა, უმცროსი შვილიშვილი — ქეთია ჩემი დამცველი. ნინი და ანასტასია უკვე დიდები არიან... მეუღლეს რაც შეეხება — ნინო ანთაძის ქალს, ჩვენ კაი ხუთი წელიწადი დავდიოდით ერთად. გაცნობით კი კინოსტუდიაში, თებროლეს როლზე რომ არჩევდნენ ქვეყნის გოგონებს, იქ გავიცანი... საქმე საქმეზე რომ მიდგა, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა ტარასი ანთაძემ — მისმა უმკაცრესმა მამამ. ჯერ ერთიო, ეგ ყმაწვილი თავადაზნაურული წარმოშობისაა და საქმე არ ეყვარებაო, თანაც ინსტიტუტი არ დაუმთავრებიაო და თანაც, „ბირჟაზე“ დგას „პლეხანოვზე“ მთელი დღეო...

მაგრამ ჩვენი სიყვარული მტკიცე იყო, ბატონი ტარასიც მოტყდა და პატარა ქორწილიც კი გადაგვიხადა. ხელი მოვაწერეთ, წარმოიდგინეთ, ჯვარიც კი დავიწერეთ სიონში, მეჯვარე იყო ჩვენი უახლოესი მეგობარი გიზო გაბისკირია და ასე მოვდივართ და მოვდივართ დღემდე...

— გაუმართლეთ იმედი წინაპარს?..

— ეწერში ოდა-სახლი გვედგა, ბაბუაჩემს რომ რგებია გაყოფისას. იმ სახლში დავიბადე... დაძველდა და ვიფიქრე, სირცხვილია, სამი ძმა ვართ, ხალხი რას იტყვის-მეთქი. სამტრედიის რაიკომში ვთხოვე ბიჭებს, იქნებ მომეხმაროთ, შემაკეთებინოთ-მეთქი. მითხრეს, შენ წადი და ხანდახან ჩამოგვაკითხე, სხვა არაფერი გვინდაო... ჩავდივარ ერთხელაც, დაუნგრევიათ ის ჩემი ძველი სახლი და დაუწყიათ, მაგრამ რა დაუწყიათ! გადავირიე, რად გვინდა ამხელა სახლი-მეთქი... რემი ვაშაკიძემ მითხრა, შენ გაჩერდი, მე მომანდეეგ საქმეო და მალე, მართლაც შესანიშნავი სახლი წამოგვიჭიმა მე და ჩემ ძმებს... ააშენებს ღმერთი!..

მაგრამ, იცით, რა მემართება?.. სულ ის ძველი ოდა-სახლი მესიზმრება ხოლმე, განსაკუთრებით კი, რაც ხანში შევედი...

— ასე სცოდნია... რას ვიზამთ...

ᲕᲘᲚᲔᲜ ᲛᲐᲠᲓᲐᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: იმედა და ნინო კახიანები ეკასა და ნინისთან ერთად; კადრი ფილმიდან „სამანიშვილის დედინაცვალი“. პლატონი — იმედა კახიანი, მელანო — ბერტა ფახავა.

◎ ᲞᲠᲔᲖᲔᲜᲢᲐᲪᲘᲐ

„მენცარი“ და ფსიქოანალიზი

ᲝᲓᲘᲗᲒᲐᲜ ასე მეგონა, — მეგრული სიტყვა „მენცარი“ უბრალოდ, მეცნიერს, დიდად განსწავლულ ადამიანს ერქვა, მაგრამ ეს სიტყვა იდუმალთმეტყველს ნიშნავს, თურმე, და მართალი გითხრათ, არც მე ვხედავ დიდ განსხვავებას ამ ორ განსაზღვრებას შორის. მით უმეტეს, რომ მასში მოაზრებულია, როგორც ცოდნა და ერუდიცია, ასევე ფსიქოთერაპიული მიმდინარეობა და მკურნალობის მეთოდები, და თვით ფსიქოთერაპევტიც, რომლის სამეცნიერო-მეთოდურ საფუძვლად ითვლება ავსტრიელი ფსიქოლოგის ზიგმუნდ ფროიდის და ჩვენებური დიმიტრი უზნაძის მეცნიერული მემკვიდრეობა.

ასეა თუ ისე, სამწუხაროდ, ბევრ ჩვენთაგანს, მხოლოდ ყურმოკვრით. გვქონდა გაგებული სამეცნიერო-მეთოდური გაერთიანება „მენცარის“ არსებობა და, გამომდინარე აქედან, ნაკლებად ვიყავით ინფორმირებული მისი მოღვაწეობის შესახებ. არადა, უნდა ვაღიაროთ, მისი მიღწევები ერთობ თვალსაჩინო გახლავთ.

ამ საგაზეთო ინფორმაციაში შეუძლებელია ილაპარაკო იმ პრობლემებზე, რომელსაც „მენცარი“ და მისი ძირითადი ბირთვი — ედუარდ ყიფიანი, გივი მერაბიშვილი, იური ფილიპაშვილი, ნიკა ფალავანდიშვილი და ზაზა კოტრიკაძე სწავლობენ და საცნაურს ხდიან ბევრ, თითქოსდა, უცნაურ ამბებს, რომელთაც, კარგად თუ დავაკვირდებით, უაღრესად პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს: — ფსიქიკური აშლილობა, (ნევროზი, ფსიქოზი); სოციალური პათოლოგია — (ალკოჰოლიზმი, დამნაშავეობა, ნარკომანია, პროსტიტუცია, ტერორიზმი, ქსენოფობია); ფსიქოსომატური დაავადებები, — (ალერგია, ანეროქსია, ეპილეფსია, დიაბეტი).

ამ და სხვა საკითხებზე 30-წლიანი მუშაობის (აქედან 15 წელი არალეგალურად) პროცესში მეცნიერებმა უკვე ჩამოაყალიბეს საკუთარი სამკურნალო — სასწავლო — აღმზრდელობითი ორიგინალური სისტემა და ამ სისტემამ ახალ მიდგომამდე მიიყვანა მკვლევარები.

მეცნიერებმა გამოიკვლიეს ფსიქიკური აშლილობის რეალური მიზეზები, ფსიქიკური აშლილობის განმსაზღვრელი რისკფაქტორები, თერაპიის მეთოდიკისა და ტექნიკის არსებითი ელემენტები და დაამტკიცეს, რომ დაავადების მიზეზი ფსიქოგენურია, ფსიქიკურ აშლილობას აქვს ერთი მიზეზი და გამოვლენის უამრავი ფორმა; არ არსებობს თვითგანადგურების ინსტინქტი — თანატოსი — და რაც მთავარია, ყველა სახის ფსიქიკური აშლილობა განკურნებადია!

გამომდინარე ზემოთქმულიდან, „მენცარმა“ შეიმუშავა მკურნალთა მომზადების სისტემა; ბავშვთა ფსიქოპროფილაქტიკის საფუძვლები; ექსტრემალურ პირობებში მოღვაწე ადამიანთა (ბიზნესმენები, ექიმები, მსახიობები, პოლიციელები, სპორტსმენები...) ფსიქოფიზიოლოგიური რეაბილიტაციის პროგრამა.

მოკლედ რომ ვთქვათ, მართლაც უზარმაზარი საქმეები უკეთებია „მენცარს“ და ყველაფერი ეს, ჯერ იყო და, პრაქტიკაში დაუნერგავთ და, ამავდროულად, ცალკე წიგნებად და სტატიებად (ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე) მოუნოდებიათ მკითხველისათვის.

სწორედ ამ წიგნებისა და სტატიების პრეზენტაცია მოაწყო, ამას წინათ, საქართველოს მსოფლიო მიღწევათა და მოგზაურობათა ხელშემწყობმა კავშირმა „გიორგი“ და ამით შესანიშნავი საქმე გააკეთა. კავშირ „გიორგის“ (თავმჯდომარე, ჟურნალისტი გვანჯი მანია.) სხვა არანაკლები ღონისძიებისთვის გაუწევია კურირება, მაგრამ ამ პრეზენტაციამ, ჩვენი აზრით, კიდევ ერთხელ დაგვანახა, რაოდენ აუცილებელია მეცნიერ-მოაზროვნე სპეციალისტების ნაზრევ-ნაფიქრალის საზოგადოების ფართო წრისთვის გაცნობა.

პრეზენტაციაზე წარმოდგენილი წიგნები, „ბავშვთა ფსიქოპროფილაქტიკა“, „ფსიქოთერაპია“, „ფსიქიკური სიჯანსაღის ფორმულა“ და მრავალი სხვა, მართლაც, რომ სამაგიდო წიგნი უნდა იყოს, როგორც ყოველი ოჯახისათვის, ასევე სპეციალისტებისათვის. ასევე სქელტანიანი კრებული „მენცარი“ სახელმძღვანელოდ გამოდგება ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის, მით უფრო, რომ მასში ცნობილი ბრიტანელი ფსიქოანალიტიკოსი პოლ უილიამსი საინტერესოდ გვესაუბრება თავის მდიდარ გამოცდილებასა და ქართველი კოლეგების მნიშვნელოვან მიღწევებზე.

„მენცარი“ და ფსიქოანალიზი ერთობ საინტერესო და მიმზიდველი სფეროა მეცნიერებაში, რომელსაც ფართო ასპარეზი უნდა.

ᲖᲐᲣᲠ ᲤᲘᲤᲘᲐ

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: მარცხნიდან მარჯვნივ: ნიკო ფალავანდიშვილი, გივი მერაბიშვილი, იური ფილიპაშვილი ედუარდ ყიფიანი და ზაზა კოტრიკაძე.

ᲤᲠᲐᲜᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ფოტო.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელამი სარკე

კალათა

– მიხო, გუშინ სად დაიკარგე, ჭალაში იყავი?

– მაშა, რომ არ ვყოფილიყავი, ამდენ წკეპლას საიდან მოვიტანდი?

– გოდრების დაწვნას აპირებ?

– რა მეგოდრება, თუ ძმა ხარ, ვერა ხედავ, მთელი ვენახი წყალმა წამართო!

– აბა, წკეპლას რა თავში იხლი?

– კალათები უნდა დავწნა.

– კალათები? – მხრები აიჩეჩა ვახტუამ.

– ჰო, რა გიკვირს, იმ დღეს ტელევიზორში მოვისმინე, მოსახლეობას კალათები არა ჰყოფნისო. მეტი რა საქმე მაქ, დავწნავ ამ ოხერ კალათებს, გავყიდი,ხალხსაც მოვიმადლიერებ და მეც რაღაცა დამრჩება.

– ეე, ჩემო მიხო, კარგად ვერ მოგისმენია.

– რა ვერ მომისმენია, კაცო!

– ხალხს კალათები კი არა, ჩემო ძმაო, რაც იმ კალათებში უნდა ეწყოს, ის აკლია.

– მერე მაგიტომ გარბიან? ვილაცამ თქვა, კალათები ისე სწრაფად გარბიან, მთავრობა მისდევს და მისდევს, მაგრამ ვეღარ ეწევაო.

– სწორედ მაგიტომ გარბიან სწრაფად, ჩემო მიხო, რომ შიგ არაფერი აწყვია.

– ასეა თუ ისე, მთავრობა მაინც ცოდოა, ძმაო, მაგას იმისთვის სცალია, რომ კალათებს გამოეკიდოს?

– სამაგიეროდ ინფლაცია გამოეკიდა და კიდევაც გადაასწრო.

– ინფლაცია რაღა ჩემი ფეხებია? – შეიცხადა მიხომ.

– აი ისა, მერსედესით რო დაქრის და ბაზრებში ფასებს ზემოთ-ზემოთ ეწევა.

– მერე ეს პატრული რო დაყუდებულა, ვერა ხედამს?

– ეჩვენება რო?

– ჩაუგდოს მანქანაში ი რაღაც სუბოტექსია და აბა ნახავ თუ არ გამოჩნდება.

– ეჰ, ჩემო ძმაო, მარტო ინფლაციის დაპატიმრებით ქვეყანას არ ეშველება, თორემ...

– მაშ, კიდევ რაღაა საჭირო, ნაბუღალტრალი კაცი ხარ და შენ უკეთესად გეცოდინება,.

– კიდევ ისა, რომა ეკონომიკამ უნდა ამოიწიოს, – შეიშნო ქება ვახტუამ, – კაცს იმდენი უნდა ეყაროს კალათაში, რო თუ მაძღრისად ვერ იკვება, ძაღლივით მშიერმა მაინც არ იწანწალოს.

– შენი აზრით, ახლა საქართველოში კალათა ყველას ცარიელი აქვს? – დაინტერესდა მიხო.

– რატო ყველას, მთავრობის ხალხს, მსხვილ-მსხვილ ჩინოვნიკებსა და პარლამენტის უმრავლესობას, მაგალითად, კალათები სუ გალიცლიცებული აქვთ.

– როგორ კაცო, უყურებენ და არაფერსა ჭამენ? დავიჯერო, ი ბენდუქიძე, იმხელა ღიპი რო ადევ, კალათაში არ იქექება?

– ჭამენ, ჩემო მიხო, როგორ არა ჭამენ, მაგრამ იმათ კალათებში იმდენი რამე ყრია, რო საერთო სათვალავში არაფერი აკლდება.

– მერე, შეცვლა არ შეიძლება?

– რა შეცვლაზე ლაპარაკობ, არ მესმის?

– კალათების შეცვლაზე. ხო შეიძლება, ი მდიდრების კალთები ღარიბებს დაუდგან, ღარიბებისა კიდევ მდიდრებსა.

– როგორ არა, მაგრამ მაგას კიდევ ახალი რევოლუცია დასჭირდება.

– რევოლუცია? – ულვაში შეუთამაშდა მიხოს.

– ჰო, რა გიკვირს, ვარდების რევოლუცია სხვა კი არაფერი იყო, ნაციონალებმა მოქკავშირელებს უბრალოდ სავსე კალათები წაართვეს და თვითონ დაიდგეს.

– კარგი ერთი, ნუ გიყვარს გაზვიადება. მე ხომ ჩემი თვალით ვნახე, მიშამ ედიკას მხოლოდ ჩაით სავსე ჭიქა აწაპნა, ეგ იყო და ეგ.

– ეგ ისე, მოსაჩვენებლად, თორემ სინამდვილეში ოქროთი სავსე კალათა წაართვა!

... ამ შემთხვევამ მიხოს რატომღაც ბავშვობაში წაკითხული ნაცარქექიას ამბავი გაახსენა: ბუხართან წამოწოლილ ნაცარქექიას გარედან ჩხუბის ხმა შემოესმა. დაინტერესდა, ნეტა რა უნდა ჰქონდეთ გასაყოფიო, საბანი წამოისხა და ქუჩაში გავიდა. უკან დაბრუნებულს დედაკაცმა ჰკითხა, რა გაარკვიეო. არაფერი, თურმე ჩემ საბანზე ჰქონდათ ჩხუბი, მომპარეს თუ არა, მაშინვე დაშოშმინდნენო.

შენ ნაცარქექია ეძახე, გაიფიქრა მიხომ, ხედავთ, ერთი შეხედვით უბრალო ფაქტიდან რიგორი ანალიზი გააკეთა!

ოტია ჩართოლანი

მეუღლე ნინო ქიქოძე, შვილები თეიმურაზ, რუსუდან ფანცულაიები, რძალი მარინა ნეფედოვა, შვილიშვილები სალომე, გიორგი მაკარიძეები, ნინო, გივი ფანცულაიები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გივი აპოლონის ძე ფანცულაია

პანაშვიდი 11, 12 V, 17 სთ. დაკრძალვა 13 V, 14 სთ.

რიმა, ნიკოლოზ ნეფედოვები, ნუცა ჭაჭია, ირენა ნეფედოვა, ალეკო მარღანია, მარიკა მიქელაძე, ალექსანდრე ნეფედოვი, რუსიკო მარღანია იუწყებიან, მძახლის და უახლოესი ნათესავის, გამოჩენილი ექიმის, ჯანმრთელობის დაცვის კარგი ორგანიზატორის

გივი აპოლონის ძე ფანცულაიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შორენა, თამაზ პატარიძეები თანაუგრძნობენ ქალბატონ ნუნუ ქიქოძეს, რუსუდან და თემურ ფანცულაიების ოჯახებს მეუღლისა და მამის, საქართველოს დამსახურებული ექიმის, დიდი სამამულო ომის მონაწილის, ღირსების ორდენის კავალერის, შესანიშნავი, უმწიკვლო პიროვნების, ბატონ

გივი აპოლონის ძე ფანცულაიას

გარდაცვალების გამო.

ჯიმი, ნაილე, მარიკა, ფრიდონ მიქელაძეები, თამრიკო მაჭავარიანი, ალექსანდრე, თამუნა, ანასტასია ნეფედოვები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ უახლოესი ნათესავის

გივი ფანცულაიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დედათა და ბავშვთა სამკურნალო ცენტრის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მაია კოპალეიშვილს და პაატა სოფრომაძეს მამის

გურამ სოფრომაძის

გარდაცვალების გამო.

ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბრუცელოზის განყოფილების ხელმძღვანელს გოგი მოსიძეს შვილის

ნინო მოსიძის

გარდაცვალების გამო.

სალომე ქავთარაძე, კახა ბერელაშვილი დიდ მწუხარებას გამოთქვამენ მეგობრის

ნინო მოსიძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

სააქციო საზოგადოება „გორგასალის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ ოთარ, ლერი, დავით ჭითანავებს ძვირფასი დის

დოდოს

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ლუიზა (მანანა) შეროზია, შვილები შოთა, გოგი, დები მადონა, თინა იმნაძეები, დისწულები ნანი, მიხეილ ზღულაძეები, თენგიზ, ნინო თხილავები, ქეთინო, ლელა, მაკა კეკელიები ოჯახებით იუწყებიან

თამაზ ამბროსის ძე იმნაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 11, 12 V, 17 სთ. გამოსვენება 13 V, 15 სთ. ი. ჭავჭავაძის გამზ. №44, III სადარბაზო.

აფხაზეთის პრობლემებით დაინტერესებულ პირთა

საყურადღებოდ!

სრულიად საქართველოს საზოგადოება „კოლხეთის“, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის ერთობლივ სააქტო დარბაზში (თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 45, VI სართული) საქართველოს საერთაშორისო სადისკუსიო ფორუმი 2007 წლის 16 და 30 მაისს (ოთხშაბათს) 13 საათიდან აწყობს „აფხაზეთის წარსული, აწმყო და მომავალის“ – თაობაზე მოხსენებების მოსმენა-განხილვას.

დასწრება და დისკუსიაში მონაწილეობის მიღება თავისუფალია.

ფორუმის კოორდინატორთა საბჭო

შპს „ძართული ჩაის კომპანიის“ ლიკვიდაციასთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს გთხოვთ მიმართოთ სალიკვიდაციო კომისიას.

საკონტაქტო პირი: კახა შავგულიძე. ზესტაფონი. ტელ: 893-37-67-71.

2007 წლის 31 მაისს 12 საათზე ჩატარდება თბილისის სს „ლაინის“ აქციონერთა მორიგი საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. 2006 წლის სამეურნეო და საფინანსო შედეგების შესახებ;
2. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნები;
3. აუდიტის არჩევა;
4. სხვადასხვა.

მისამართი: თბილისი, ბოჭორმის ქ. 25. სააღრიცხვო დღედ განისაზღვროს 2007 წ. 2 მაისი. კრების ჩატარებამდე ერთი დღის განმავლობაში აქციონერებს შეუძლიათ შეამოწმონ კრებაში თავიანთი მონაწილეობის უფლება დამოუკიდებელ რეგისტრატორთან შპს. „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“. **მისამართზე: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №74 ა.**

სს „ძუთაისის ავტოსერვისი რაშის“ აქციონერებს გაცნობებთ რომ 2007 წლის 31 მაისს 15 სთ. ქუთაისში, ნიკეას 11-ში მოწვეულია სს-ის მორიგი კრება შემდეგი დღის წესრიგით:

1. 2006 წლის სამეურნეო საქმიანობის შესახებ საწარმოს დირექტორის ანგარიშის განხილვა-დამტკიცება;
2. სს-ის სამეთვალყურეო საბჭოში ცვლილებების შეტანის შესახებ;
3. 2007 წლისათვის აუდიტორის არჩევის შესახებ;
4. სხვადასხვა.

2007 წლის 1 ივნისს 15 საათზე ჩატარდება სს „გრაალი 92“-ის აქციონერთა საერთო კრება.

მისამართი: თბილისი, გარდაბნის გზატკეცილი 42.

დღის წესრიგი:

1. 2006 წლის სამეურნეო-ფინანსური ანგარიში;
2. 2006 წლის მოგების განაწილება;
3. სხვადასხვა.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მდებარე ქალაქ თბილისში ქეთევან წამებულის №1, სხდომის დარბ. №9 11. 05 2007 წ. 16.00 სთ. იხილება შპს „ოქროს საწმისის“ საგაკოტრებო მორიგებითი რეაბილიტაციის მმართველის ნ. ლომთაძის განცხადება თეიმურაზ ლომთაძის ქონებაზე ყადაღის მოხსნის შესახებ.

განჩინება

გაკოტრების საქმის წარმოების გახსნაზე უარის თქმის შესახებ

12 მარტი 2007 წელი ქ. ქუთაისი

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ზაზა ხაჟალიამ ერთპიროვნულად განვიხილე, რა შპს „ავტოგრაფის“ დირექტორის გულიზა გუბელაძის განცხადება გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის თაობაზე

დავადგინე

შპს „ავტოგრაფის“ დირექტორის განცხადებას, შპს „ავტოგრაფის“ მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის თაობაზე, ეთქვას უარი მოვალის ქონების სიმცირის გამო.

აღნიშნული განჩინების შესავალი და სარეზოლუციო ნაწილი გამოქვეყნდეს გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“. გამოქვეყნების ხარჯები გადახდეს შპს, „ავტოგრაფს“.

განჩინებაზე დაიშვება კერძო საჩივრის შეტანა ამავე სასამართლოში, მისი გამოქვეყნებიდან 12 დღის ვადაში.

მოსამართლე ზაზა ხაჟალია

ქართული სულიერების გადარჩენის უმთავრესი „შტაბი“ — საქართველოს საპატრიარქო და პირადად სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II ახალი ფოლკლორული ანსამბლების შექმნის ინიციატორად მოგვევლინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფორმაცია

რუსებმა აფხაზებს ახალი ისტორია დაუწერეს

რუსეთის ფედერაციის განათლების სამინისტროს რეკომენდაციით, აფხაზმა მოსწავლეებმა რუსი ისტორიკოსების მიერ შედგენილი ისტორიის ახალი სახელმძღვანელოთი უნდა ისწავლონ.

რუსმა ისტორიკოსებმა და გეოგრაფებმა აფხაზებს ახალი ისტორია დაუწერეს. გავრცელებული ინფორმაციით, სოხუმში უკვე ჩატანილია შვიდი ავტორის მიერ დაწერილი, მოსკოვში გამოცემული აფხაზეთის ახალი ისტორიის სახელმძღვანელო.

აფხაზეთის განათლების განყოფილებას, მოსკოვიდან მითითება აქვს მიღებული, რომ წიგნი სკოლებში შეიტანონ.

ახალი სახელმძღვანელოს მიხედვით, სოხუმიდან ქუთაისამდე ტერიტორია აფხაზეთს ეკუთვნის. სახელმძღვანელოში იგნორირებულია ქართველთა და აფხაზთა თანაცხოვრება, შეცვლილია ყველა ტოპოგრაფიული დასახელება, დამახინჯებულია ფაქტები და მოვლენები.

ჯი-ეიჩ-ენი

მილოცვა

დაბადების დღეს გილოცავთ!

ლერი მაისაშვილი – 70

გილოცავთ და ყველაფერს მხოლოდ საუკეთესოს გისურვებთ!

გილოცავთ და მადლობას გიხდით უდიდესი სიყვარულისათვის, ზრუნვისათვის, იმედისათვის, საოცარი ცოცხალი მაგალითისათვის, თუ როგორი უნდა იყოს იდეალური მეუღლე, მამა და ბაბუა.

გილოცავთ! ძალიან გვიყვარხარ!

ნანა და ხათუნა მაისაშვილები; მაია და რუსუდან ზვიადაძეები; ირინე და გაკა ხერხეულიძეები; ლილი და ლალი ნემსაძეები; იოსებ ფანქველაშვილი, მიხეილ ადეიშვილი

ბაბუ!

მსოფლიოში საუკეთესო ბაბუას გილოცავთ დაბადების დღეს!

ზღაპრივით ლამაზად, დიდხანს და ბედნიერად იცხოვრე ჩვენს ულამაზეს ლალი ბებოსთან ერთად.

გპირდებით — ჩვენ ყველა ოცნებას აგიხდენთ!

ანდრია და ელისაბედ ადეიშვილები, მარიამ და კონსტანტინე ფანქველაშვილები.

ფესტივალი

„ქართული სულის“ აღმასვლა

ცხრა მაისის საღამოს „როკვით განფენილი გენიის“ — ქართული ცეკვის და „მსოფლიოს მერვე საოცრების“ — ქართული ხალხური სიმღერის დიდი ზეიმი იყო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში.

კომპანია **„არტრუსთავის“** ხელდასხმით ფესტივალი „ქართული სული“ პირველად ოთხი წლის წინათ გაიმართა. მასში ძირითადად მსოფლიოში სახელგანთქმული ჩვენი სახელმწიფო ანსამბლები მონაწილეობდნენ, თუმცაღა, ქართული სიმღერისა და ცეკვის ხვალინდელი დღე, ბავშვთა ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ანსამბლებიც ანთებდნენ ცეცხლს „ქართული სულის“ კიდევ უფრო ასაგიზგიზებლად...

სწორედ ასე წარმოჩინდა უკვე ტრადიციული ფესტივალის მეოთხე გაელვების გალაკონცერტიც. თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ბავშვთა ქორეოგრაფიულ და ფოლკლორულ ანსამბლებს, ლეგენდარული „ერისიონის“ ახალ თაობას, სიმღერისა და როკვის დამსახურებული კოლექტივები ენაცვლებოდნენ.

დაუვიწყარი სანახაობის მიმწუხრისას კი სცენაზე გალაკონცერტის მონაწილე გუნდების გაერთიანებულმა ანსამბლმა, თბილისის სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან და კაპელასთან ერთად, ისე დააგუგუნა უკვდავი „მრავალჟამიერი“, კიდევ ერთხელ დარწმუნდებოდით, რომ ამ სიმღერის და ცეკვის შემქმნელ ხალხს გადაშენება არ უწერია.

„...ჩუ, ვიღაცა მღერის მთაზე, რა ძალაა ამ ტკბილ ხმაში, არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში“ — (გალაკტიონი).

ჩვენდა საბედნიეროდ, უკვე მთელმა მსოფლიომ აღიარა, რომ ქართული ხალხური პოლიფონია შეუდარებელია...

გულწრფელად გასახარია ისიც, რომ ბოლო ხანს ბავშვთა და ჭაბუკთა ანსამბლები მომრავლდნენ: ქართული სულიერების გადარჩენის უმთავრესი „შტაბი“ — საქართველოს საპატრიარქო და პირადად სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II კი ახალი ფოლკლორული ანსამბლების შექმნის ინიციატორად მოგვევლინა.

ჭეშმარიტად, ქართული ხალხური სიმღერა და ცეკვა ჩვენი მრავალჭირგადანახადი ერის მთავარი განძი და სულიერი სიმდიდრეა.

წლევანდელი, რიგით მეოთხე ფესტივალი 2 მაისს „ერისიონმა“ გახსნა. შემდეგ, საგანგებო სოლო კონცერტები უჩვენეს „სუხიშვილებმა“ და „რუსთავმა“.

გალაკონცერტზე კი, როგორც გითხარით, ძველი და ახალი თაობის შემსრულებელთა ნამდვილი სადღესასწაულო აღლუმი გაიმართა.

კონცერტს დირიჟორობდა თბილისის სიმფონიური ორკესტრის თავკაცი ვახტანგ კახიძე. სწორედ ქართული კლასიკური და ხალხური მუსიკის უზადოდ შერწყმა გახდა იმის მიზეზი, რომ მაყურებელი გახარებული, თვალცრემლიანი, ამაღლებული და განწმენდილი ტოვებდა დარბაზს. თუმცაღა, ვიდრე დარბაზს დატოვებდა, თხუთმეტწუთიანი ოვაცია გაუმართა „ქართული სულის“ ორგანიზატორებს და ინდივიდუალურ შემსრულებლებს...

„არტრუსთავის“ გახარებული ხელმძღვანელი ზურაბ ჩხაიძე კი შეგვპირდა, რომ მომავალ წელს, ფესტივალის დაარსების მეხუთე წლისთავზე, უფრო დიდი სიურპრიზები და სიამოვნება მოგველითო.

მხნეობა, სიხარული, რწმენა და იმედი არ მოგვშლოდეს!

სპარტაკ ქოზულია

ლარის კურსი

11 მაისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი

ინგლისური გირვ. სტერლ.	1	3,9574 ლარი
აშშ დოლარი	1	1,6890 ლარი
ევრო	1	2,3033 ლარი
რუსული რუბლი	1	0,0658 ლარი.
აზერბაიჯანული მანათი	1	1,9537 ლარი.
სომხური დრამი	100	0,4731 ლარი.
უკრაინული გრივნა	10	3,3719 ლარი.

ანეკდოტები

ნახირი საძოვრიდან ბრუნდება. ორი სვანი ამ პროცესს ცნობისმოყვარეობით აკვირდება.

— გასაკვირია პირდაპირ, — ამბობს ერთი, — ყოველი ძროხა ზუსტად თავის ბაგას როგორ აგნებს და მხოლოდ იქ როგორ დგება ხოლმე.

— რა არის, კაცო, ამაში გასაკვირი? ვერა ხედავ, რომ ყველა ბაგაზე ძროხების ინდივიდუალური ნომრებია მიწერილი?

* * *

რუსეთის ოცდამეშვიდე ავიაპოლკის სამხედრო მფრინავებმა უარი თქვეს გროზნოს მეორე კვარტალის დაბომბვაზე მანამ, სანამ 99 წლის პირველი კვარტალის ხელფასს არ გადაუხდიან.

* * *

ახალი ქართველი, ცხოვრებამოყირჭებული, ყოვლისშემძლე, ყოვლისმნახველი და ყოვლისმქონე, პლაჟზე წევს და მზის აბაზანას ღებულობს. უცებ ხედავს, ოქროს თევზი მოცურავს. ცაპ და დაიჭირა.

— აბა, სასწრაფოდ მოიფიქრე ჩემთვის სამი სურვილი! — ეუბნება მკაცრი ტონით.

* * *

როდესაც ძალიან ჭკვიანს ესაუბრები, თავი გონებაჩლუნგად მიგაჩნია.

ხოლო, როდესაც ჩლუნგს ესაუბრები, გრძნობ, როგორ ჩლუნგდები.

* * *

დემოკრატია ჩვენებურად — ეს არის ის, როცა ყველანი აკეთებენ იმას, რასაც მთავარი დემოკრატი იტყვის.

* * *

ყავა ადამიანს ძალას მატებს. ამიტომაც სვამენ მას მაშინ, როდესაც მუშაობა არ სურთ.

* * *

პატრული სიჩქარის გადაჭარბებისთვის მანქანას აჩერებს. იქიდან მთვრალი მიხო გადმოდის, კანფეტს გადმოაფურთხებს და ზიზღით ამბობს:

— წარმოგიდგენია, ლიქიორიანი შოკოლადი შემხვდა.

კადრი

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში“.
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემლები
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებელი ჟურნალისტები. მისამართი: კოსტავას ქ. № 14.
ტ: 899 537616; 98-96-33.

შპს „თანადგომა -1“ ძიზიძის ქ. № 12.
ტ: 899 797679; 98-96-32.

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რაინიშვილის ხიდი, 20.

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი
ოთარ ტურაბელიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.